



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაჰეითი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## הנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აპრილი  
(04რი)  
15-30  
№7 (365)  
(5772)  
2012

„הנורה“

עיתון יהודי

בגוריה

### მიხეილ სააკაშვილი ეკრედიტს ფესახის დღესასწაულს ულოცავს



საქართველოს პრეზიდენტი ებრაელებს ებრაული კალენდრის ერთ-ერთ უდიდეს დღესასწაულს, ფესახს ულოცავს, რომელიც ებრაელი ხალხის მონობისგან თავის დაღწევას აღნიშნავს. მილოცვა პრეზიდენტის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

„დღეს მორწმუნეები ფიზიკური და სულიერი გადარჩენის ნიშნად უფლისგან მოსულ ხსნას ზეიმობენ და იერუსალიმის ტაძარს მოილოცავენ. ეს ბიბლიური დღესასწაული ძვირფასი და მნიშვნელოვანია ყველა ებრაელისათვის და სიმბოლურია სხვა ერებისათვის, რადგან ამ დღეს ებრაელები კაცობრიობას თავისუფლების სიყვარულისა და ერთგულების მაგალითს

უჩვენებენ. სულითა და გულით ვულოცავ ამ დღეს მთელ ებრაელ ხალხს და მათთან ერთად ქართველ ებრაელებს, რომელთა წვლილი ჩვენი სახელმწიფოს აღმშენებლობისა და განვითარების საქმეში განუზომელია. რწმენა, მშვიდობა და სიკეთე არ მოგკლებოდეთ თქვენ და თქვენს ოჯახებს“, — ნათქვამია პრეზიდენტის მილოცვაში.

### მომავალ წელს იერუსალიმში, მომავალ წელს – სოხუმში

თბილისის ჯამაათი სიხარულით შეეგება ფესახს – მონობიდან გათავისუფლების დღესასწაულს. 6 აპრილს ხალხმრავლობა იყო ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთში. საღამოს ლოცვის დაწყების წინ ბეით ქნესეთში მოვიდა ქალაქ თბილისის მერი ბ-ნი გიგი უგულავა. ჯამაათი პატივისცემით შეხვდა ქალაქის მერს.

ბ-ნმა გიგი უგულავამ ჯამაათს გულთბილად მიულოცა გათავისუფლების დღესასწაული, ისაუბრა ებრაელთა ღირსეულ წვლილზე თბილისის ეკონომიკაში, წარმოებაში, კულტურასა, თუ სხვა სფეროებში. უსურვა მას მშვიდობიანი ყოფა, წარმატებები.



თავისი გამოსვლა კი ასე დაამთავრა:

– მე ვიცი, ფესახის დღეებში თქვენ ერთმანეთს მიმართავთ: მომავალ წელს იერუსალიმში შევხვედროდეთ ერთმანეთს! ჩვენ ვამბობთ: მომავალ წელს სოხუმში შევხვედროდეთ ერთმანეთს!

მინის შემდეგ ბეით ქნესეთის გაბაის მოვალეობის შემსრულებელმა ფირუზ კორბაშვილმა ჯამაათს მიულოცა ფესახის შემობრძანება და დაპირებისამებრ გააცნო, თუ ვინ დააფინანსა მაცის საფასურის 80%. ეს არის კეზერაშვილების ოჯახი – მამა-შვილი შოთა და დავით კეზერაშვილები.

გაბაიმ ისიც აღნიშნა, რომ მამა-შვილმა უარი თქვა მაცის გაყიდვის შემდეგ მიეღოთ გაღებული თანხა. გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა ჩაიკეტება საბანკო ანგარიშზე და გაისად ბეით ქნესეთს თავად ექნება საშუალება შეიძინოს საჭირო მაცა.

### ბარაკ ობამა: „თავისუფლება ყოველთვის აპარსხებს ზიკანთან“

აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა ფესახის დღესასწაულთან დაკავშირებით ებრაელი ხალხის წინაშე ოფიციალური მისალოცი სიტყვით გამოვიდა.

როგორც NEWSru.co.il იტყობინება, მან თქვა, რომ წელს ტრადიციისამებრ, თეთრ სახლში გამართულ ფესახის სედერში მიიღებს მონაწილეობას და აღნიშნა, რომ ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლის ამბავი დღესაც აქტუალურია, რადგან თავისუფლების ტირანიაზე გამარჯვებას აღნიშნავს.

ობამამ გაიხსენა, რომ ეგვიპტიდან გამოსვლა ებრაელებს თავისუფლებას შთააგონებდა, მაგრამ იგი ბევრს ნიშნავდა არა მარტო ებრაელებისთვის, არამედ ყველა იმ ხალხისთვის, რომელიც დაჩაგრული გახლდათ რწმენის, რასისა და კანის ფერის გამო.

ბარაკ ობამამ ისაუბრა იმაზე, რომ ფესახს თეთრ სახლში ებრაული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან და თავის ებრაელ თანამშრომლებთან ერთად შეხვედრა და აუცილებლად მიირთმევს თავის საყვარელ წვინანს.

გამომშვიდობებისას მან ებრაელებს ფესახი ივრითზე მიულოცა.



### ფესახის სეფერი თეთრ სახლში

აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა განაგრძობს ტრადიციას, რომელიც ჯერ კიდევ პრეზიდენტად არჩევამდე დაიწყო — მან ებრაელი თანამშრომლებისა და მათი ოჯახებისთვის თეთრ სახლში ფესახის სეფერი გამართა. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გაავრცელა ფოტოები, რომლებზეც ობამა თავის სტუმრებთან ერთადაა აღბეჭდილი. ვახშამი ფესახის ყველა აუცილებელი ატრიბუტის თანხლებით აღნიშნეს. სტუმრები ეგვიპტიდან გამოსვლის ისტორიას ჰყვებოდნენ.

„ჩემი გუნდის წარმომადგენელ ებრაელებთან ერთად ვიჯდები, ჩვენ მოვყვებით ისტორიას ეგვიპტიდან გამოსვლის შესახებ და მოვუსმენთ პატარა ბავშვებს, რომლებიც დასვამენ კითხვას თუ რით განსხვავდება ეს ღამე ყველა დანარჩენი ღამისგან“, — განაცხადა ობამამ მისალოცი სიტყვაში, წერს „კურსორი“. ამას გარდა, მან მსოფლიოს განუცხადა, რომ მოუთმენლად ელის როდის დააგემოვნებს მაცისგან მომზადებულ ტრადიციულ ბულიონს.

ბარაკ ობამა კენიელი მუსლიმის ვაჟია. მას ინდონეზიელი მუსლიმი მამინაცვალი ზრდიდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინდონეზიაშიც ცხოვრობდა და ადგილობრივ სკოლაში სწავლობდა. ახალგაზრდობაში ობამამ ქრისტიანობა მიიღო. საპრეზიდენტო არჩევნების წინ მისმა შტაბმა დიდი ენერჯია დახარჯა, რომ ამერიკელები დაერწმუნება — ბარაკ ჰუსეინ ობამა მუსლიმი არ არისო.



# ებრაელთა კატასტროფა ქართულ სცენაზე

5 აპრილს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე წარმოდგენილი იქნა ბათუმის მოზარდთა თეატრის დევიდ ზან მაიროვიცის პიესის „აუშ-ვიცი—ფერფლის პლანეტა“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ირაკლი გოგიამ. სცენოგრაფია და მუსიკალური გაფორმებაც მასვე ეკუთვნის.

სპექტაკლში მოქმედება ვითარდება აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც 4 მილიონზე მეტი ებრაელი და სხვა ეთნიკური ჯგუფის ხალხი გერმანელებმა ანამეს. იგი გვიამბობს ერთი ებრაელი მამაკაცის დრამატულ ყოფაზე, ასე გვაჩვენებს ებრაელი ერის გაუსაძლის მდგომარეობას მეორე მსოფლიო ომის წლებში. სპექტაკლში სრულყოფილად არის წარმოდგენილი სიყვარულის და სისასტიკის, ძალაუფლების და კაცთმოყვარეობის პრობლემა და ხაზგასმით არის ნათქვამი - რომ ნებისმიერ საშინელ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანური სახის და ჰუმანური პოზიციის შენარჩუნებას.

ახალგაზრდა რეჟისორი სპექტაკლში იყენებს ექსპერიმენტულ მულტიმედია ელემენტებს – რადიო და ვიდეო ეფექტებს. სპექტაკლში ორი მსახიობი მონაწილეობს: დიმიტრი მელია (გორელიკი) და თამარ მახარაძე (ეიმი).

შთამბეჭდავი და სიმბოლური გახლდათ სპექტაკლის ფინალური სცენა, როცა განამებული, უსასოო ებრაელი ისრაელის ჰიმნის ფონზე ნელ-ნელა ფეხზე წამოდგება—ეს გახლავთ თეატრალური, სცენური ენით გამოხატული ისტორია ებრაელი ერისა.

ამ სპექტაკლმა უკვე მოიპოვა საერთაშორისო რეზონანსი. 3 ივლისს სპექტაკლი წარმოდგენილი იქნება მინსკის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, რომელსაც მსოფლიო თეატრმცოდნეთა მე-9 საერთაშორისო კონგრესის მონაწილეები დაესწრებიან.



## 26 აპრილი ისრაელის დამოუხილველობის დღეა

გურამ ბათიაშვილი

### როგორ იზოვს საკუთარი თავი იოსებმა ბელადის ჰორტრეტის ქვეშ მოთხრობა

არავის ახსოვს, ამ დაბაში სამხედრო ნაწილი როდის დაბანაკდა. მართალია, არმიელების თეთრი საღებავით გადახაზულ-გადმოხაზული, უცნაურ კვადრატებად დაყოფილი ტერიტორია იოსებ ხახიაშვილის ეზოს ემიჯნებოდა – ერთი ყავისფრად შეღებილი, მაღალი ლობე ჰყოფდათ, ზუსტად იოსებიც კი ვერ გეტყვოდათ, თუ როდის მოვიდნენ აქ ნითელარმიელები. და აი, რატომ: სამხედრო ნაწილი იმდენად მცირერიცხოვანი გახლდათ, ჯარისკაცები იმდენად უხმაურო ცხოვრებას ეწეოდნენ, დაბაშიც ისე იშვიათად გამოჩნდებოდნენ და თუ გამოჩნდებოდნენ, იმდენად მოკრძალებულად იქცეოდნენ, მოსახლეობა კი არა, იოსებიც—ახლო მეზობელი – ვერ გრძობდა მათ არსებობას.

ამ დაბის მილიცია თითქმის უსაქმოდ იჯდა: შეიძლება ითქვას, თვლიდა. ზოგჯერ რკინიგზის სადგურში, ან ბაზარში ჯიბის ქურდებს თუ დაიჭერდა, ან მოკოდი დიხამინჯია თუ დათურებოდა და ვინმეს აუხირდებოდა, თორემ სხვა არაფერი ხდებოდა. ერთი სიტყვით, ის მინდა გითხრათ, რომ დაბაში სიმშვიდე სუფევდა და ნითელი არმიის 754751 ნაწილიც თავისი ჩვეულებრივი, საარმიო განაწესით ცხოვრობდა. დაბისა არც რა იცოდა და არც რა აინტერესებდა. თავის მხრივ, არც დაბამ იცოდა, იმ ლობის მიღმა რა ხდებოდა. ნაწილი. კიდევ გასჩენოდა გაგების სურვილი, ამაოდ გაირჯებოდა. თუმცა, ყველაფერი ეს ადრე იყო, ომამდე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხედრო ნაწილში მფრინავები დაბანაკდნენ. დაბა ამ ცვლილებას, ალბათ, ვერც იგრძნობდა, რომ არა ერთი გარემოება: სამხედრო ნაწილის ტერიტორია და, ცხადია, მფრინავთა რაოდენობა, ლამის ყოველდღიურად იზრდებოდა. მაღლობა ღმერთს, სამხედრო ნაწილს მარცხენა მხარეს დიდი მინდორი ეკრა, რომელზეც მეტწილად ძროხები ბალახობდნენ. სწორედ იმ მინდორის ტერიტორია მცირდებოდა დღითიდღე. ამის გამოისობით იყო, რომ სამხედრო ნაწილის ტერიტორიის ზრდა იოსებ ხახიაშვილის კარ-მიდამოს არ შეხებია. „ის მინდორი რო არ ყოფილიყო, რა მეშველებოდა, — ფიქრობდა იოსები, — ამათ გერმანია აიღეს და ჩემს ეზო-კარს მოერიდებოდნენ?!“

ქუჩაში კობტად მორთულ მფრინავებს რომ ხედავდნენ, დაბელებს სიამაყით ევსებოდათ გული. თუმცა, დაბის ინტელიგენციას—შვიდწლედის მასწავლებლებს, ფერმლებს და სამხედრო სტრატეგიის ცოდნაზე პრეტენზიის მქონე პირთ უკვირდათ: ახლო-მახლო აეროდრომი არსად არის და მფრინავებს აქ რა უნდათო. ცხადია, არ იცოდნენ, რომ დაბასთან, მდინარე ტეხურის გაღმა, საიდუმლო სამხედრო აეროდრომი შენდებოდა. აქედან ისეთი ძლიერი თვითმფრინავები უნდა აფრენილიყვნენ, რომ სტამბოლის და ანკარის დაბომბვა მყისვე ყოფილიყო შესაძლებელი. ეს ის დრო გახლდათ, როცა სტალინი თურქეთთან ომს ეპირებოდა – ოსმალთა მიერ სამი საუკუნის წინათ მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნება და თურქეთის დასჯა ენადა: ეგენი ომის დროს ფაშისტურ გერმანიას თანაუგრძობდნენო.

დაბელები ხარობდნენ: ჩვენს ქუჩებში გმირული საბჭოთა ავიაციის კობტად ჩაცმული მფრინავები დასეირნობენო. ყველა მიიჩნევდა, რომ საბჭოთა კავშირის სამგზის გმირი კოჟელებიც ამ ნაწილში უნდა ყოფილიყო და, თუ ჯერ არ ჩამოსულიყო, უახლოეს დღეებში გამოჩნდებოდა.

ცხადია, ყველაფერი ეს ზრდიდა დაბელთა სიამაყის გრძობას. მაგრამ რამდენიმე თვეში ყველაფერი ისე აირია, დაბელები ფიქრობდნენ, ღმერთმა ასე რატომ დაგვსაჯაო. რაც უფრო იზრდებოდა სამხედრო ნაწილის ტერიტორია, რაც უფრო მატულობდა მფრინავთა რაოდენობა, დაბაში მით უფრო სწრაფად იცვლებოდა მათდამი დამოკიდებულება.

თუ ადრე დაბის ქუჩებში დღეში ორი-სამი მფრინავი ჩქარი ნაბიჯით გაივლიდა, ახლა ჯგუფებად დადიოდნენ ხუთ-ხუთნი, შვიდ-შვიდნი, ზოგჯერ მეტიც. ერთი აურზაურით, ხმაურით მოედებოდნენ ქუჩებს, გოგონებს გზას გადაუჭრიდნენ, უხამსად ელაპარაკებოდნენ და, რაც მთავარია, არაყზე ნადირობდნენ. რამდენჯერ ყოფილა: ბაზარში გასაყიდად გამოტანილი არაყი გლეხკაცისათვის ხელიდან წაუგლეჯიათ. მერე სადღაც მიიმალეობდნენ, დალევდნენ და იქაურობას გინებით იკლებდნენ. ხალხმა მოსვენება დაკარგა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ დაბელები სახლის კარს კი არა, ჭიშკარსაც კეტავდნენ, შინ არ შემოგვივარდნენო, მაგრამ მფრინავებზე არაფერი სჭირდა. ჭიშკრის გაღებას არც ცდილობდნენ, ლობეს მარდად გადავლებოდნენ, ეზოს გადაირბენდნენ და ისე დასწყვილებდნენ: „ჩაჩაო“, კარგი შვილი იყავი, იმწამსვე არ გამოგეტანა არაყი. ეზოში ერთი შემოვიდოდა, სამო-ოთხი ჭიშკართან იდგა. ნაცხარ აკაკი შანავას კი ყველაფერი ეს სიცილის გუნებაზე აყენებდა – ჩახხითხითებდა და ამბობდა:

– ასე მოგიხდებათ თქვენ! იცით, თქვენ, რომელი ხალხი ინახავს სხვის ჯარს? ის, რომელმაც თავისი ჯარის შენახვაზე თქვა უარი.

შანავას მოსმენა არავის ენადა – ეს კაცი შარს გადაგვიკიდებსო და თუ უმალ არ გაცვლებოდნენ, თავი ისე ეჭირათ, ვითომ არაფერი გაეგონოთ. კვირობდნენ, რას შერება ეს ჩვენი შინსახკომი, ამნაირ ხალხს როგორ აჩერებსო. ერთ დღეს კი ხუხუტი ადამიამ ისეთი რამ თქვა, ყველა დაფიქრდა: მაგი უშიშროების კაცია, ასე იმიტომ ლაპარაკობს, რომ გაიგოს, ჩვენ, რას ვეტყვით, რო ხვალ ყველაფერი ჩაუკაკლოს უშიშროებას.

სამამულო ომიდან ცალი ფეხით მობრუნებულმა ალექსი როგავამ კი შესძახა:

– ჰაი, შანავა კონტრაა! ეგენი ომში იბრძოდნენ, თავს სწირავდნენ, თქვენ კი აქ სხვების ცოლებს ჯიჯგინდით!

როგორც უკვე გითხარით, სამხედრო ნაწილის ტერიტორიას სწორედ იოსებ ხახიაშვილის სახლი ემიჯნებოდა. ამიტომ ყველაზე მძიმე დღეში ამ საბრალეობურადი კაცის ოჯახი ჩავარდა – კვირა ისე არ გავიდოდა, მფრინავები ჭიშკარს სამჯერ-ოთხჯერ არ მოსდგომოდნენ და არ დაეძახათ, „ჩაჩა, ჩაჩაო“. უკვე ლო-

ბეზე გადმოხტომისთვისაც კი არ ინუხებდნენ თავს, ჭიშკართან დადგებოდნენ და იქიდან იძახდნენ **Хозяин, дай воду!** ამ ბოლო ხანს არაყს აღარ სჯერდებოდნენ, მისატანებელი სადღაო ისე გეტყოდნენ, ნამდვილად დამნაშავედ იგრძნობდი თავს.

იოსები საგონებელში ჩავარდა. აღარ იცოდა, რა ელონა. მფრინავები რამდენჯერაც მოადგნენ, არაყი იმდენჯერ მისცა, ერთი ბოთლიც კი აღარ დარჩა სახლში. შაბათ დილას, სალოცავად წასვლის წინ, ძლიერ უყვარდა ასი გრამის გადაკვრა – „ხენავს“ მიაყოლებდა ხოლმე. ახლა საამისო არაყიც აღარ დარჩა შინ. „ჩემი თავი ჯანდაბას, აღარ დავლევ შაბათ დილას და ეს იქნება, — ფიქრობდა იოსები, — მაგრამ ესენი რომ მომადგებიან და მომთხოვენ, რა კენა? დაიჯერებენ, რო არ დამრჩა?“

ყოველ დილას, გაიღვიძებდა თუ არა, ეს საფიქრალი ჰქონდა:

– ეს ოჯახქორები ცოლ-შვილს დამიზაფრავენ, ლიას ისედაც გული ანუხებს და რაიმე ხიფათს არ მწიონ!

ცოლ-შვილს ნამუადღევს ეზოში გამოსვლა აუკრძალა:

– ნუ გახვალთ, იყვირებენ, იყვირებენ და, რომ არ გაეპასუხებით, წავლენ, აბა, რალას იზამენ!

ცოლ-შვილი ასე კი დაარიგა, მაგრამ ერთი ბოთლი არაყი მაინც მოიტანა ბაზრიდან და ბუხრის თავზე შემოდო. ლიას უთხრა: „თუ არაფერი გაგივიდეს, მიაშავე, ცეცხლად და ნავთად!“ მფრინავები რამდენჯერმე მოადგნენ სახლს, იყვირეს, მასპინძლო, მასპინძლოო, მაგრამ რომ არავინ გაეპასუხათ, კვარაცხელიებისაკენ გაემუხრნენ. ამის მერე კარგა ერთი კვირა არავინ მოსულა, არავინ მოსდგომია ჭიშკარს. ოჯახმაც შვებით ამოისუნთქა, ეზოშიც გამოვიდნენ და, ის იყო, ირწმუნეს კიდევ, მფრინავებმა თავი დაგვანებეს, ჩვენკენ აღარ იყურებიანო, სწორედ მაშინ მოხდა ის, რასაც ასე უფროთხობდა იოსები.

სალამო ხანი იდგა. მზე ზღვის მხარეს ეშვებოდა. არე-მარეს ისეთი ალმური მოსდებოდა, როგორც ამ დაბის ყმანვილ ქალს, დანიშნულის კოცნისას რომ შეასწრებს ვინმე. ლია ეზოში თევზს ქერცლავდა – იოსებს ბაზრიდან კარგა მსუქანი კამბალა მოეტანა – ორი მფრინავი ისე სწრაფად გადმოველო ლობეს, გეგონებოდათ, ხანძარია, ყველაფერი ინვის, შეყვინება არ ივარგებსო. ერთ-ერთი მფრინავი ლიას მივარდა, მხარში წაავლო ხელი, აჯანჯლარებდა და უყვიროდა, ჭიშკრიდან რომ გეძახდით, სად გვემალეობდით, არაყს რატომ არ გეძალევთო. ლიამ, რასაკვირველია, რუსული არ იცოდა, მაგრამ ყვიროდა, თვალის ბრიალსა და მხარში წვდომას, აბა, რა რუსულის ცოდნა სჭირდება. საბრალეო იქვე ჩაიკეცა – გული შეულონდა. მფრინავები ჯერ ვერაფერს მიხვდნენ. ბავშვებმა რომ ტირილი მორთეს, მალაფი, ნითური ონკანს მივარდა, პეშვში წყალი დაიგროვა და ქალს სახეში შეასხა. ქალს სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტყო. **Спаслась, падла-о**

თქვეს და ნელი ნაბიჯით დატოვებს ეზო.

ლიამ კი მიიხედ-მოიხედა, მფრინავები რომ ველარ დაინახა, ცრემლი წასკდა. უძლურების, ულონობის იყო ეს ცრემლი. ბავშვები დედის ტირილმა უფრო დააფეთა – ერთი ღრიალი მორთეს.

\*\*\*

იოსები, ისე როგორც ამ დაბის მცხოვრებთა უმრავლესობა, ერთობ ფრთხილი, აუჩქარებელი კაცი იყო. მოუფიქრებლად ნაბიჯს არ გადადგამდა. ამიტომ არის გასაკვირი ის, რაც იმ საღამოს გააკეთა: ჯიქურ მიადგა სამხედრო ნაწილს და უფროსის ნახვა მოითხოვა. გასაკვირი იმიტომ არის, რომ ჩივილი არ ახასიათებდა, ყოველ გასაჭირს იტანდა. იმ საღამოს კი ჯიქურ მიიჭრა სამხედრო ნაწილში. იქ, ცხადია, შესასვლელთან, სამორიგეოში შეაჩერეს: რა გესაქმება, ვინ ხარო, შესძახა მორიგემ და შაშხანაც შემართა, იოსებს შაშხანის ასეთი მოძრაობა, ცხადია, არ მოეწონა, მაგრამ მორიგეს მაინც არ შეეპუა: უფროსის ნახვა მინდა, ვიდრე უფროსს არ მაჩვენებთ, აქედან ფეხის გამდგმელი არა ვარო. მორიგეს ეს ამბავი სასაცილოდაც არ ეყო, შაშხანა ისევე მხარზე გადაიკიდა და იოსებს მკლავში ჩაავლო ხელი, წადი, აქაურობას გაეცალეო, მაგრამ ძვრა რომ ვერ უყო, გაიკვირვა: ეს რა ღონიერი ყოფილაო და ისევე შაშხანას სწვდა. სამამდე ვითვლი, თუ აქედან არ მოუსვამ, გესწარიო. ის-ის იყო, თვლა უნდა დაეწყო, სამორიგოს ერთი ქალარაშერეული, დაბალ-დაბალი, ცისფერთვალა ოფიცერი მოადგა. მშვიდად იკითხა: რა ხდება, რა ცირკი გაგიმართავთ აქაო. იმ კაცის დანახვაზე მორიგე სარგადაყლაპულივით გაიჯგომა, ხელის გაშლილი მტევანი საფეთქელთან მიიტანა და სხაპასხუბით წარმოთქვა:

— ამხანაგო მეთაურო, მოგახსენებთ, რომ ვილაც აბეზარს თქვენი ნახვა სურს.

აქაურობას არ სცილდება, სამხედრო ნაწილის რეჟიმს არღვევს.

ჭალარაშერეული იოსებს მიუბრუნდა, ფიქრიანად აათვალიერ-ჩაათვალიერა, მობრძანდითო, კვლავ ხმადაბლა, მშვიდად თქვა და წავიდა..

იოსები მონუსხულივით იდგა. მიხვდა, რომ ის იყო ნაწილის უფროსი – მობრძანდითო კი მოესმა, მაგრამ უცებ ერთმა ფიქრმა გაუნათა გონება: „ეს ერთი პატარა კაცი ერევა მგლებს, მთელი დაბა რომ ვერ მორევია და თვითონ რავარი მგელი იქნება. მამა აბრაამის ბატონად იმიტომ მოაქვს თავი, რომ ნამდვილი მგელია! ამასთან ლაპარაკი რავა იქნება!“

ეს ფიქრი ერთობ დამაჯერებლად ეჩვენა. იმდენად დამაჯერებლად, რომ საკუთარი თავს ჩააგონა: „სად მობრძანებულხარ, იოსებ! ეს კაცი იქით რო გეძახოდეს, თავს უნდა არიდებდე და საკუთარი ფეხით რამ მოგიყვანა აქ!“ – ეს იყო, ალბათ, იმის მიზეზი, რომ გაუხეხნავი კვიციის სიმარდით გაიქცა შინისაკენ.

\*\*\*

იოსებმა კარგად იცოდა: კაცს თუ ძალდი დაედევნება, ან უფრო დიდი ძალდი უნდა დაახვედრო, ან ისეთი ლუკმა უნდა ჩასწარო პირს, გემრიელი ლუკმით პირგამოტყინებდა ვეღარ დაგტყინოს.

სხვა რაღა დარჩენოდა — ბედს დამორჩილდა. მეორე დილასვე გავიდა ბაზარში, ორი ბოთლი არაყი იყიდა და ბუხრის თავზე შემოანყო. ეს სწორედ ის ლუკმა არი, რომელიც მაგ ძალღლებს პირს გამოუტყინოს. ლიას კი უთხრა, ეზოში გასვლას მოერიდეთ, სახლის კარიც დაკეტილი გქონდეთ და, თუ არაფერი გაგივიდათ, თუ ეზოში შემოვიდნენ, მიაშავეთ არაყი, სხვა რაღა გზა არისო.

ასეც იქცეოდნენ: ლია და ბავშვები ეზოში ყოფნას ერიდებოდნენ (ეს კი ძლიერ ჭირდა – უკვე აპრილი მიილია, გაზაფხულმა მხრები გაშალა, ეზოში ისეთი სუნი ტრიალებდა, კაცს, სხვა რომ არაფერი, ეს აცოცხლებდა), უმეტესწილად სახლში იყვნენ ჩაკეტილი, მაგრამ თუ მფრინავები ღობეს გადმოველებოდნენ, ლია სიცილ-ლიმილით შეეგებებდა არაყს, მჭადს და ყველს, ისინიც ყველაფერ ამას ჩანთაში გადაუძახებდნენ.

– რა გამოდის ახლა აქედან? – თავს ეკითხებოდა იოსები — გამოდის, რომ ამით ყოველდღე არაყი უნდა ვაძლიო. ახლა კიდო დასაყოლებელს თხოულობენ – ჭადი ან პური და ყველი მაინც მოგვეცითო. გაუძლებს ამას ჩემი ჯიბე? ვერა, ჩემი ჯიბე ამას ვერ გასწვდება – ესე იგი, რა გამოდის ახლა აქედან: ან ეს ჯაფა უნდა გავწიო, ან ამ ნაწილს უნდა მოვშორდე. ამ ნაწილს ორი გზით შეიძლება მოვშორდე: ან ის უნდა გადაიტანონ სადმე, შორს, ან მე უნდა გადავსახლდე. დიდი სწავლა-განათლება არ უნდა იმას, რომ ვინმემ თქვას იოსკა ხახიაშვილს ეს სამხედრო ნაწილი არ მოსწონს და ნუ შევანუხებთ, გადავიტანოთო, ამ სამხედროებს მე არავინ მომამორებს, გამოდის, მე უნდა წავიდე, მე უნდა გადავსახლდე იქით, შორს სტალინის ქუჩაზე, ან მოედანზე, მილიციასთან ახლოს – კარგი საყურებელია ყოველ დილას მილიცია, კარგი მავათ მისცეს გამჩენმა! – ამ დაბაში ბინის გაყიდვა არც ისე იოლი საქმე იყო. ბინის გაყიდვა იქ არის იოლი, სადაც ხალხი მდიდრდება; ამ დაბაში გამდიდრება ყველას ეწადა, მაგრამ ორი მიზეზის გამო ვერ მდიდრდებოდნენ: პირველი –

ჩვენში ყველას უცებ, ერთ დღეში უნდა გამდიდრება, მეორე – იმ ხალხს, რომელსაც უცებ უნდა გამდიდრება, მილიცია ძალიან იოლად უგრესს კისერს და უკვე ნამოვნსაც აკარგვინებს.

იფიქრა იოსებმა, იფიქრა და ერთ სწორ აზრს მიაგნო: ამ სახლის მყიდველს იმათ შორის ვიშოვი, ვისაც ყოველ პარასკევს და კვირას ბაზარში პროდუქტი ჩამოაქვს; ბაზარი ავერ არის, ყურის ძირში, მაგნიური ხალხისთვის ყოველი ქალაქის ცენტრი ბაზარი არისო.

და სწორედ ამნაირ ხალხში დაიწყო სახლის მყიდველის ძებნა.

დრო კი გადიოდა. მაისიც დადგა. არაყი გაძვირდა, მაგრამ ლია და იოსები მაინც უხმოდ იტანდნენ გასაჭირს – კარს მომდგარ მფრინავებს არაყს და მისაყოლებელს არ აკლებდნენ. ერთ დღეს, ნაშუადღევ იქნებოდა, იოსები, იქნებ ორიოდ ლუკმა შეეჭამოო, შინ მობრუნდა. ჭიშკარის შეღებისას, ისე მოულოდნელად წაადგა თავს აყლაყუდა მფრინავი, ელდა ეცა. პანია და ჩია არც თვითონ იყო, მაგრამ როგორც ყოველ აქაურ ებრაელ კაცს, მოულოდნელობა მასაც აკრობდა. მფრინავმა ხელი მკლავში ჩასჭიდა და ჩემთან ნამოდიო, ლამის ბრძანებით უთხრა.

აგერ, ა, ახლავე, ამ წუთში გამოგიტან არაყს.

– ნამოდი, ნამოდი ჩემთან! – თქვა მფრინავმა, – შენ ხომ ებრაელი ხარ? – და იოსებს მკლავზე კიდევ უფრო მოუჭირა ხელი – ეს რა კუნთები გქონია?! – გაუღიმა.

იოსებს ისეთი რამ ჰკითხეს, მფრინავის ღმილს რა დაანახებდა.

– ებრაელი ხარო?! – ვაი, შენს თავს, იოსებ! – ელდა ეცა და ჰქონდა კიდევ ამის მიზეზი: ამ რამდენიმე თვის წინათ, ხახმებს ებრაული ენის სწავლება აუკრძალეს და თუ გაიგებდნენ, ესა თუ ის ხახამი ბავშვებს თორას ასწავლიდა, იჭერდნენ. დაბაში ამბავი ჩამოვიდა: თურმე ცხინვალში თუ სურამში, ერთი ხახამი დაუპატიმრებიათ და თითებზე ფრჩხილები დაუძვრიათ. ვინც ეს საქმე გააკეთა, ალბათ, ფიქრობდა, ამით მთელი საქართველოს ებრაელობას დავაფრთხო, უცებ შეეშვებიან სალოცავში სირბილს და იმ ძველი, დაფლიანი ნიგნის შესწავლაც, რომელსაც კომუნისტების მშენებლობისათვის არა-რა სარგებლობა არ მოაქვსო. ის კაცი არ ტყუოდა: ასეთი რამ ადამიანებს აფრთხოებს და ებრაელობაც უნდა დაეფრთხო, მაგრამ იმ კაცმა ის არ იცოდა: ებრაელობას ამ ოცი საუკუნის განმავლობაში ხშირად აძრობდნენ ფრჩხილებს, ზოგჯერ — ტყავსაც კი, მაგრამ რა... ამით კიდევ უფრო უძლიერებდნენ იმ დიდი ნიგნის სიყვარულს, რომელიც, თუ გულახდილად ვაღიარებთ, კომუნისტების მშენებლობის პრინციპებს, მართლაც არ ითვალისწინებს.

იმ პატარა დაბის ებრაელობაც ისეთივე იყო, როგორც სხვა, დიდი ქვეყნებისა: ყველაფერს დათმობდა და თორას — არა. ამიტომ მალულად ასწავლიდნენ შვილებს, მალულად ატარებდნენ რაბებთან. იოსების უფროსი ვაჟი — დათო უკვე რვა წლის გახდა და იოსებმა ხახამ იცხატან დაანყებინა ებრაული ენისა და თორის სწავლა.

„ამათ რა დავემალებათ, მინაში რა არის, ის იციან, – გაიფიქრა იოსებმა. – ალბათ, იმის გამო თუ მიჭერენ, ხელისუფლების გადაწყვეტილებას რომ არ დავემორჩილე. რახან ესენი მაპატიმრებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ სამხედრო ტრიბუნალი გამასამართლებს. სამხედრო ტრიბუნალი კიდევ – ჩემს მტერს!“

იოსებ ხახიაშვილს მომავალი ერთობ მუქ ფერებში წარმოუდგა. ამიტომ, გადაწყვიტა, ამ კაცს, მფრინავს, ხელიდან უნდა დაეფუძრე, თუ ამან სამხედრო ნაწილში შემეყვანა, ჩემი საქმე გათავებულაო.

– ბრატ, დოროგოი – დაიწყო იოსებმა. – მოდი, სამი წუთით შევეალ სახლში, არაფერზე არ დავიხევე უკან... ჩემზე იყოს.

– გვეჩქარება, გველოდებიან! – თქვა მფრინავმა, იოსებს ხელი უფრო მძლავრად ჩაავლო და ნაბიჯს აუჩქარა. რატომღაც მთავარ შესასვლელს – სამორიგეოს გვერდი აუარა და ბაზრის მხარეს გასწია.

– ნაჩაღნიკ, — ისევ დაიწყო იოსებმა, — ოჯახი მყავს, შვილები, ჩვენ, ებრაელებს სხვანაირად არ შეგვიძლია... ჩვენ თორა უნდა ვისწავლოთ...

მფრინავმა იოსებს გადმოხედა, კმაყოფილმა გაუღიმა.

„რას იკრიჭება ეს შობელძალი, იმ თორის შემოქმედმა ღმერთმა დაგცეთ თქვენ მეხი!“ — გაიფიქრა იოსებმა, მფრინავს კი უთხრა: — შევეალ სახლში და ახლავე გამოვალ, პატივისცემა ჩემზე იყოს... ჩვენ საიდუმლოს შენახვა ვიცით. კაციშვილი ვერ გაიგებს.

ძალიან კარგი, ძალიან კარგი, მაგრამ ახლა მოდი, ჯერ აქ შევიდეთ, — იოსებმა სამხედრო ნაწილის ღობეს ლამის ცხვირი მიარტყა, — აბა, თავი დასწიე, — მფრინავმა ყვისფრად შეღებილი ღობის სამი ფიცარი გადასწია, იოსებს თავი დაახრევირა, თავადაც დაიხარა და ორივენი მყის 7546751 სამხედრო ნაწილის ეზოში აღმოჩნდნენ. მფრინავმა ღობის თითო ლურსმანზე ჩამოკიდებული ფიცრები ისევე გაასწორა, როგორც ადრე იყო.

„არ შემინახა გამჩენმა, არ დამიფარა ამათი ხელის-

გან!“ – დამწუხრდა იოსები. სასონარკვეთილი, მუხლებში ძალაგამოლეული მიაბიჯებდა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, მილასლასებდა.

მფრინავი იოსებს დიდ დარბაზში შეუძღვა.

დარბაზის კედლებზე ეპოლეტიბიანი, ჩინ-მედლე-ბიანი რუსი გენერლების სურათები ეკიდა, მაგიდის თავზე კი – ლენინის და სტალინის დიდი სურათები; იქით, მოპირდაპირე მხარეს სტალინი მავზოლეუმის ტრიბუნაზე იდგა და ვილაცას ხელს უქნევდა, თან თბილად ილიმებოდა. იოსების გვერდით, ცოტა მაღლა დიდი ფოტოსურათი ეკიდა: საბჭოთა არმიის ოფიცრები გერმანიის დროშებს ძირს ყრიდნენ.

„შეხედე, შეხედე! რავა პადმეტკამომცრალი ფეს-საცმელებით ყრიან იმ დროშებს!“ – გაიფიქრა იოსებმა და კიდევ ერთხელ შეავლო თვალი სტალინს, მაგრამ ჰოი, საოცრება! – ამას აქ რა უნდა! – მომლიმარი სტალინის ფოტოსურათის ქვეშ ხახამ იცხაკი იჯდა.

იოსებმა ხახამს მყისვე აქცია ზურგი.

„აბა, მთლად გლახად ყოფილა საქმე! ხახამ იცხაკიც დაუპატიმრებიათ! რას უნდა ნიშნავდეს ახლა ეს? რას უნდა ნიშნავდეს და... – დაძაბულად მუშაობდა იოსების ტვინი, – ეს იმას ნიშნავს, რომ... მოდი, აქედან დავიწყეთ: ვინ არის იცხაკი? ხახამი. ეს — ერთი. მეღამედი, ესე იგი, თორის მასწავლებელი. ეს — მეორე და აქ გაგჩერდეთ კიდევ. რას ნიშნავს ყველაფერი ეს? ეს იმას ნიშნავს, იცხაკი დააპატიმრეს. პატიმარია, მარა თვითონ არ იცის. ამიტომ ზის აქ რაიკომის უფროსივით, — იოსები შეყოვნდა, ნაფიქრი გონების თვალთ გადაამოწმა. ზუსტად ასე უნდა იყოს, სწორ გზაზე ვდგავარო, დასაკვნა და ანალიზი განავრძო: — თუ ხახამ იცხაკი დააპატიმრებულია, ვინ ვარ მე, რატომ ვარ აქ მე?... ახლა ისიც ვიკითხოთ: რატომ მკითხა იმ რუსმა, ებრაელი ხო ხარო? ჰა? ესე იგი მონმე უნდათ, იმის მონმე, რომ ხახამ იცხაკი ბავშვებს თორას ასწავლის, ესეიგი არ ასრულებს მთავრობის ბრძანებას. რა გამოდის ახლა აქედან? მე მონმედ ვარ დაძახებული. მე უნდა ვთქვა: ეს არის ის კაცი, რომელიც ბავშვებს თორას ასწავლის. აჰა, მე უნდა დავადო ხელი იცხაკს. მაშინ გახმეს ეს ხელი! – გადაწყვიტა იოსებმა და იცხაკს მალულად შეავლო თვალი.

„მე რა ვიცი, ვინ არის ეს კაცი, მე რა საქმე მაქვს მაგასთან! მაგ კაცი რკინიგზის გადადგმა ცხოვრობს, მგონი. მე კიდევ აგერ, ა, აქ ვცხოვრობ, თქვენს გვერდით. არ იცოდით? თქვენი მეზობელი ვარ. შეიძლება თქვენი მეზობელი უნესო კაცი იყოს და ხახმებთან რამე საქმე ჰქონდეს? მე თქვენი მეზობლობა მახალისებს კიდევ და ბევრ რამესაც მასწავლის. რა? რას აკეთებს ეს კაცი? რა საქმიანობას ეწევა? არა, არ ვიცი, მარა... წვერი მოუშვია... წვერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბოლშევიკი, რევოლუციონერი უნდა იყოს, ან კიდო რუსეთიდან ჩამოსული ბოსიაკი... კი, კი, ალბათ, ბოსიაკია, თორემ ბოლშევიკი, რევოლუციონერი ახლა საიდან! არა, ბატონო, მე არ მითქვამს, მაგნი ორივე ერთიაო, მე რა ვიცი ერთია თუ არა, საიდან! სახელი? სახელი... სახელი, მგონი, იაკობი უნდა ერქვას, თუ მიხეილი?! ხო, მიხეილი, კი, ბატონო. ასეა! რა? იცხაკი? ხოო... თქვენ უკეთ გცოდნიათ.“

იოსებს სამოქმედო გეგმა მზად ჰქონდა, ახლა მთავარი იყო, დაკითხვის დაწყებამდე, ხახამთან არავითარი საუბარი არ გაება.

მფრინავი, რომელმაც იოსები აქ მოიყვანა, მაგიდაზე მდგარ ტელეფონს მიუახლოვდა, ყურმილი აიღო და ისე უპატაკა, — ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენი დავალება შესრულებულიაო, იოსებს ლამის გული შეუნუხდა.

„ეს მილიციაზე უფრო დიდი მილიციაა!“ – გაივლო გულში.

მფრინავმა კიდევ სადღაც დარეკა და საუბარი გააბა. სწორედ ამ დროს მოესმა იოსებს ხახამ იცხაკის ხმა: რა იყო, იოსებ, რატო მემდური, შე კაციო!

„მემდურიო?! – გაბრაზდა იოსები. ამდენი არ უნდა იცოდეს? ამდენს არ უნდა ხვდებოდეს? თორას კი ასწავლის ბავშვებს!“

– იოსებ, რა მოხდა ამისთანა, რატომ მაქციე ზურგი! – ისევ მოესმა იცხაკის ხმა.

„არა, პასუხი არ უნდა მივცე. მაგისტვის სჯობია ასე! არ ვიცნობ, არ მიცნობს. საიდან უნდა ვიცნობდე? რა? ჩემი ბავშვი დადის მაგასთან? ჰი-ჰი-ჰი! ბაღანა სად არ დარბის, ბატონო, დილა რომ გათენდება, მთელ დაბას შემოიბრუნეს, მაგი სად არ დადის, მოგტყხავ ფეხებს, თუ ვყოფილვარ იოსებ ხახიაშვილი!“ – გეგმას კიდევ უფრო ხვეწდა, ამუშავებდა იოსები, მაგრამ ეს საქმე ხმაურმა შეანყვეტინა. მერელა მიხვდა – ხმაური კი არა, მწყობრად, გამართული ნაბიჯებით მომავალი ადამიანების ფეხის ხმა იყო. „მოდიან“, — გაიფიქრა იოსებმა. ფეხის ხმა რაც უფრო ახლოვდებოდა, მით უფრო დამთრგუნავი ხდებოდა. იოსებს ეჩვენებოდა, რომ ჩექმების ქუსლებს იატაკს კი არა, მის გულს ურტყამდნენ. ამიტომ გული ეკუმშებოდა, ეწურებოდა.

ოთახში რამდენიმე კაცი შემოვიდა. ოფიცრებს ის ჭალარა, ცისფერთვალეა მოუძლოდა, ამას წი-

# უმთავრესი მიზანი: კავშირების მეტად გამყარება

22 მარტს საქართველოს ისრაელში ახლად-დანიშნულმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-მა არჩილ (აბესალომ) კეკელიამ რწმუნების სიგელი გადასცა ისრაელის პრეზიდენტს შიმონ პერესს.

გთავაზობთ ბ-ნი ა. კეკელიას მიერ სიგელის გადაცემის ცერემონიაზე წარმოთქმული სიტყვის სრულ ტექსტს.

– ქართველებს გვამაყვება და დაუღალავად ვიმეორებთ, რომ საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობები მსოფლიო სივრცეში მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უთამაშო და სამაგალიტოა. ჩვენ გვპატივნიან სპარტო ღირსებულებები, ისტორია, თავისუფლებისა და შეიქმნა ითქვას, არსებობს 26 საუკუნოვანი ბრძოლა.

წელს საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დაწყებიდან 20 წელი სრულდება. თუმცა, როგორც ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა რამდენჯერმე განაცხადა, სავსებით შესაძლებელია ებრაელ და ქართველ ხალხებს შორის ურთიერთობების 2 ათასი წლის იუბილეს აღნიშვნას.

თავისი პროგრესული იდეების წყალობით, საქართველოს ებრაელობას მუდამ გამორჩეული ადგილი ეკავა. არსებობს უამრავი მაგალითი, თუ ჩვენმა წინაპრებმა როგორ დაიცვეს და დღემდე მოიტანეს ებრაული სული, რწმენა და ტრადიციების სიმშენი. ეროვნული თვითშეგნების განვითარებას დიდწილად შეუწყო ხელი ალიის პიონერების – სამი კმა მიხედავნილების ნაბიჯმა, თვრამეტი ქართველი ებრაელის მიერ გაბრძობა გაგზავნილმა წერილმა, პროტესტის არაჩვეულებრივად გაბაღულმა აქციამ მოსკოვის ცენტრში. გალაქარაგულად შეიქმნა ითქვას, რომ ეს იყო კატალიზატორი იმ პროცესებისა, რომელმაც დასაბამი მისცა დიდ ალიას ყოფილი საბჭოთა კავშირიდან.

ვარდების რევოლუციამ და მის შემდეგმა გაბრძობაშია პირადად რეპროდუცირებული საქართველო ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად, დემოკრატიულ ფასეულობებზე ორიენტირებულ სახელმწიფოდ აქცია. თუმცა, წინ კვლავაც რთული და ხანგრძლივი გზა გვაქვს გასასვლელი. ამ გზაზე მებრძობისა და მოკავშირეების მხარდაჭერას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

უახლოეს პერიოდში ჩემი, როგორც ისრაელის სახელმწიფო საქართველოს ელჩის, უმთავრესი მიზანი იქნება ორი ქვეყნის ხალხებს შორის კავშირების მეტად გამყარება, სხვადასხვა სფეროში ურთიერთშელახლები და ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებაზე გრძნობა. გჯერა, რომ ისრაელის სახელმწიფოს თანამშრომლობა საქართველოს სახელმწიფოსთან ასევე სამაგალიტო ბაზაა უახლეს ისტორიაში.



22 მარტს ისრაელში საქართველოს ელჩმა არჩილ (აბესალომ) კეკელიამ რწმუნებითი სიგელი გადასცა პრეზიდენტ შიმონ პერესს. ახალ თანამდებობაზე დანიშნვისთანავე 32 წლის საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ უკვე მოახდინა ისტორიაში შესვლა. მისი პირველივე საქმეორ ქვეყანას შორის დაკავშირებული ურთიერთობის მოგვარება იყო, რაც ისრაელის ბიზნესმენების – რონი ფუქსის და ზაევი ფრანკელის დაპატიმრება განაპირობა, მათი გათავისუფლება სწორედ, რომ კეკელიას დანიშვნას დაემთხვა. ამ ყველაფერმა კი ურთიერთობის გამომცოცხლება გამოიწვია. 2012 წლის თებერვალ-მარტში ისრაელს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე, ეკონომიკის მინისტრი ვერა ქობალია, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ეწვივნენ.

იმის მიუხედავად, რომ 2008-2012 წლებში პორტალი „იზრუსი“ ორმხრივ ურთიერთობებში მტკიცე საკითხავს ფართოდ აშუქებდა, არჩილ კეკელიას „არ შეეშინდა“ პირველი დეტალური ინტერვიუ სწორედ „იზრუსისთვის“ მიეცა. ამასთანავე, იგი საკამოდ გულახდილ და დეტალურ პასუხებს იძლეოდა, რაც დიპლომატიისთვის არ არის დამახასიათებელი, ამიტომ მისი მოსაზრება ძალიან საინტერესოა, მით უმეტეს, რომ ისინი ისრაელ-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივასა და ახლანდელ მდგომარეობას ეხება.

– თებერვალ-მარტში საქართველოს ოფიციალური პირები ჯვრის მონასტრის „დაბრუნების“ შესახებ ურთიერთგამორიცხავ ინფორმაციას ავრცელებდნენ. როგორც წესი, მათი განცხადებები არ დასტურდებოდა არც ისრაელის და არც ამ ობიექტის მფლობელი ქვეყნის – ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიისგან. რა არის ამ გაურკვევლობის მიზეზი?

– დავინწყით იქიდან, რომ ამ საკითხით მე ვარ დაკავებული, როგორც ისრაელში საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი. როგორც იცით, თებერვლის ბოლოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მონასტრის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისთვის დაბრუნების სურვილი გამოთქვა. მარტის დასაწყისში კი ეს საკითხი იერუსალიმში სტუმრობის დროს ჩვენი პარლამენტის სპიკერმა – დავით ბაქრაძემ წამოსწია. მაგრამ მთავარია გავიგოთ შემდეგი: გვინდა მონასტერი ჩვენს კულტურულ და სულიერ სივრცეში დავაბრუნოთ. არ ვაპირებთ ამ მონასტრის ყიდვას და არც მის არენდით აღებას, 99 ან 100 წლით.

გვინდა, რომ ქართველმა მომლოცველებმა იქ თავი კომფორტულად იგრძნონ და მსახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობდეს. როგორ შეიძლება ეს მოხდეს – ტექნიკური საკითხია, მოლაპარაკებებიც სწორედ ამისთვის დაიწყო. ჩვენი თხოვნა იერუსალიმის პატრიარქს თეოფილე III-ს გადავეცით. მან მაღლობა გადაგვიხადა იმისთვის, რომ ჩვენი პოზიცია გავაცანით, რადგან გამოქვეყნებული პუბლიკაციები და მათ შორის თქვენს საიტზეც, მიანიშნებდნენ თითქოს მოლაპარაკებებს მის ზურგს უკან ვანარმოებდით. მე შევძელი მისი ეჭვების გაქარწყლება და შევპირდი, რომ მთელი მოლაპარაკებების მანძილზე საქმის კურსში ჩავაყენებდი.

– აპირებთ, რომ ეს საკითხი იერუსალიმის ოფიციალურ წარმომადგენლებსაც გააცნოთ?

– რა თქმა უნდა. ისრაელი – მეგობრული სახელმწიფოა და ჩვენ ვალდებული ვართ ამ საკითხის შესახებ ოფიციალურ ორგანოებსაც ვაცნობოთ. უფრო მეტიც, 4 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა – გრიგოლ ვაშაძემ წერილი

მისწერა ისრაელელ კოლეგას, რომელშიც შეატყობინა, რომ ბერძნულ ეკლესიასთან მოლაპარაკებების დაწყება გვაქვს განზრახული. ასე, რომ დასაწყისში გაუგებრობა იყო, მარტში კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. რამდენადაც ვიცო, მინისტრები ამ თემას პირად საუბარშიც შეეხნენ. ვფიქრობ, ყველა გაუგებრობა წარსულში დარჩა.

– სულ რამდენიმე თვეა, ისრაელში ხართ და უკვე მთელი რიგი საქართველოს ოფიციალური პირების ვიზიტები მოაწყვეთ. რა ვიზიტებია დაგეგმილი უახლოეს მომავალში?

– რთული გასაგები არ არის, თუ რატომ არ შედგა მინისტრ ვაშაძისა და პარლამენტის სპიკერის დავით ბაქრაძის ვიზიტი 2011 წელს, ამას ისრაელელი ბიზნესმენების დაპატიმრებამ შეუშალა ხელი. როგორც კი ეს პრობლემა მოგვარდა, გასულ წელს დაგეგმილი ყველა ვიზიტი შედგა. ახლო მომავალში ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის – დანი აიალონის და სოფლის მეურნეობის მინისტრის ორიტ ნოკედის თბილისში ვიზიტია დაგეგმილი. ოქტომბერში ჩვენთან საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება და ბატონმა ბაქრაძემ ქნესეთის დეპუტატები დამკვირვებლების როლში მიიწვია. წლის ბოლომდე ჩვენი ხელმძღვანელობა თბილისში ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის – ავიგდორ ლიბერმანის ჩასვლასაც იმედოვნებს. მისში კი თელ-ავივს, გამოფენზე – Agritech-2012 საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა გოროზია ეწვევა. ასე, რომ საკამოდ დატვირთული წელი იქნება.

– ისრაელში ჩამოსვლამდე თქვენ ეკონომიკის მინისტრის მოადგილე იყავით. სავარაუდოდ, თქვენი პრიორიტეტი სწორედ ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება იქნება.

– სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყნებს შორის ვაჭრობა სახარბიელო დონეზე არ არის. სავაჭრო ბრუნვა ბოლო წლებში 70-დან 50 მილიონ დოლარამდე

შემცირდა, მათგან 90% საქართველოში ისრაელის ექსპორტია. ერთადერთი, რაც ყოველწლიურად უმჯობესდება, ტურიზმის სფეროა. გასულ წელს ჩვენი ქვეყანა 26 ათასმა ისრაელელმა ტურისტმა მონახულა. რაც 2010 წელთან შედარებით 30%-ით მეტია.

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მიზეზით გამოგზავნეს ისრაელში. როგორც ეკონომისტს, ჩემთვის ამ სფეროს განვითარება უფრო ადვილია. მივისწრაფვი არა მარტო პოლიტიკოსების ურთიერთობების დალაგებისკენ, არამედ ინვესტორების და საქმიანი ხალხის მოზიდვისკენაც. განზრახული მაქვს, ისეთი საპარლამენტაშორისო კომისიის შექმნა როგორც, ისრაელსა და რუსეთს შორისაა. ვთვლი, რომ ჯანმრთელი ბიზნესკლიმატის შექმნისთვის ეს ძალიან მოსახერხებელი პლატფორმაა. სხვათა შორის, ძალიან კარგად ვიცნობ მსგავსი სტრუქტურების მუშაობას, რადგან ვიყავი საქართველოს ეკონომიკური სამთავრობათაშორისო კომისიების თავმჯდომარე ჩინეთთან, პოლონეთთან და ყირგიზეთთან. უკვე ცნობილია, რომ თქვენს ქვეყანაში კომისიას ტურიზმის მინისტრი სტას მისეუნიკოვი უხელმძღვანელებს, ჩვენს ქვეყანაში კი ეკონომიკის მინისტრი — ვერა ქობალია.

ეკონომიკური წარმატების ერთ-ერთ ლოკომოტივად შეიძლება სავიზო რეჟიმის გაუქმებაც იქცეს. ისრაელელებისათვის ერთმხრივად სავიზო რეჟიმი უკვე გავაუქმეთ. ვითვალისწინებთ, ახლო წელიწადნახევარში დიპლომატიებისთვის და ოფიციალური თანამდებობის პირებისათვის სავიზო რეჟიმს ისრაელიც გააუქმებს. ვფიქრობ, ეს ეკონომიკური კავშირების გაღრმავებისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

— **საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ისრაელელი ბიზნესმენების რონი ფუქსისა და ზევე ფრენკელის დაპატიმრებამ ორ ქვეყანას შორის ბიზნესურთიერთობას დიდი დარტყმა მიაყენა.**

— ბიზნესმენები სწორედ იმ დღეს გაათავისუფლეს, როდესაც პარლამენტში ჩემი დანიშვნის შესახებ ვსაუბრობდი. ვფიქრობ, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა მათი გათავისუფლება ჩემს დანიშვნას დაამთხვია — ახალი ელჩი, ახალი ურთიერთობები. ასე, რომ, მადლობა ღმერთს, ეს საკითხი უკან დარჩა. რაც შეეხება საქმიან ურთიერთობებს, ეკონომიკის სამინისტროში, პირველ რიგში, ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვით ვიყავი დაკავებული. მას შემდეგ რაც მქონდა ძალიან ბევრი შეხვედრა და მონაწილეობა მივიღე ათობით ბიზნეს-ფორუმში, შემიძლია ვთქვა შემდეგი: როგორც წესი, დიდ ბიზნესმენებს, მაგნატებს, არ უყვართ პატარა დარბაზში მცირე მენარმეებთან ერთად ჯდომა. მათ განსხვავებული შესაძლებლობები, ინტერესები აქვთ. ამიტომ მათი ერთ ღონისძიებაზე თავმოყრა არასწორია. დიდ თევზებს პატარა თევზებთან ერთად ცურვა არ უყვართ. ასე, რომ, დიდ ინვესტორებთან მუშაობა პირისპირ მიჩვენია. ისრაელში ჩამოსვლისას მათ ჩვენი ეკონომიკის მინისტრიც შეხვედბა.

— **ახსენეთ, რომ საქართველო ისრაელს 9-10-ჯერ ნაკლებ საქონელს აწვდის, ვიდრე ყიდულობს. რატომ და რა საქონელია ეს?**

— სამწუხაროდ, საქართველოში მხოლოდ რამდენიმე დიდი საწარმოა და ამიტომ პროდუქციის ექსპორტი ძალიან მცირე რაოდენობით ხდება. ისრაელს ვაწვდით ფეროშენადნობებს, მეტალს, ასევე დაინყო სოფლის მეურნეობის პროდუქტის ექსპორტი. მე არ მაქვს ამ პრობლემის მოგვარების ჯადოსნური მეთოდები. მართალია, ჩვენი ეკონომიკა იზრდება, მაგრამ წარმოების დასაღვავებლად საჭიროა ინვესტიციები. ჩვენთან კარგი საინვესტიციო კლიმატია — რუსული გიგანტებიც კი, მაგალითად „ლუკოილი“ საქართველოში მშვიდად მუშაობს, 2008 წლის ომის შემდეგ მათ ბიზნესს არ შეეხებია. ახალი ისრაელელი ინვესტორების შემოსვლით მოხარულები ვიქნებოდით. ჩვენ ხომ იაფი ენერჯია, წყალი, სამუშაო ძალა და გადასახადები გვაქვს. მაგრამ ბიზნესმენები თავად უნდა ეძებდნენ და პოულობდნენ შესაძლებლობებს.

— **ჩვენს ქვეყნებს შორის ვაჭრობაზე საუბრის დროს სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობაც უნდა აღინიშნოს.**

**ცოტა ხნის წინათ საქართველომ პოპულარიზაცია გაუწია საკუთარი წარმოების მრავალჯერად სარაკეტო რეაქტიულ სისტემებს. წარსულში კი ამ იარაღს ისრაელში ყიდულობდა. განაახლებს თუ არა სამხედრო თანამშრომლობას თბილისის ისრაელთან?**

— იმპორტის ადგილობრივი პროდუქციით ჩანაცვლება გვსურს, რადგან იმპორტი ექსპორტზე გაცილებით მეტია და ეს უარყოფითი ბალანსი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ყველაფერი, რისი წარმოებაც თავად შეგვიძლია, თავად უნდა ვანარმოოთ. რა თქმა უნდა, ზოგიერთ შემადგენელ მასალას უცხოეთიდანაც შემოვიტანთ, რადგან მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება მოკლე დროში ვერ დალაგდება. გვიანტერესებს თავდაცვითი ტექნიკა, რადგან თავდაცვა ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. 2008 წელს, ალბათ ამ ტექნიკამაც გადაგვარჩინა. რამდენიმე დღის გაძლება შევძელით სანამ საერთაშორისო საზოგადოებამ რუსული აგრესია არ შეაჩერა. ყველას ესმის, რომ რუსეთთან ბრძოლა არ შეგვიძლია, თუმცა, 2008 წელმა გვაჩვენა, რომ აუცილებლად უნდა გვქონდეს კარგი თავდაცვითი ტექნიკა. ასე, რომ, მომავალში ჩვენს ქვეყნებს შორის ამ სფეროში თანამშრომლობას არ გამოვრიცხავ.

— **2008 წლის ომის შემდეგ, ბევრი ისრაელელი ბიზნესმენი მიხვდა, რომ თუ ისინი საქართველოში იმუშავებენ, მათთვის რუსეთის კარი დაკეტილი იქნება. მათმა ნაწილმა თქვენს ქვეყანასთან ურთიერთობა განწყვიტა. რისი გაკეთება შეგიძლიათ მათ დასაბრუნებლად?**

— არ მინდა ბევრი ვისაუბრო რუსეთზე და იქ ბიზნესის კეთებაზე. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ საქართველოში კაპიტალდაბანდებისთვის კარგი კლიმატია, მათ შორის რუსული კომპანიებისთვისაც. როგორც უკვე აღვნიშნე, „ლუკოილი“ და „ბილანი“ ჩვენთან თავს კომფორტულად გრძობენ. შეგვიძლია მენარმეებს მხოლოდ პატიოსანი ბიზნესსტრატეგიის შეთავაზოთ. გასაგებია, რომ ჩვენი მოსახლეობა მხოლოდ 4,5 მილიონია, რუსეთის კი — დაახლოებით — 140 მილიონი. ჩვენ არ გვაქვს ნავთობი, გაზი, გიგანტური მრეწველობა. მე, როგორც ელჩსა და ეკონომისტს არ მაქვს მყისიერი გადაწყვეტილებები თქვენს მიერ დასმულ პრობლემებზე. გამოსავალი მხოლოდ ერთია — შეიქმნას ეკონომიკა, სადაც არ იქნება კორუფცია და ინვესტირებაც მომგებიანი იქნება.

— **საქართველო-ისრაელის ურთიერთობაში გასულ წელს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ისრაელური ჰოლდინგის Global CST წარმომადგენლების აფხაზეთში ვიზიტი იყო. ეს როგორც ქართული სპეცსამსახურებისთვის, ასევე საელჩოსთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა. რის გაკეთებას აპირებთ იმისთვის, რომ არ დაუშვათ ისრაელის საქმიან წრეებსა და თქვენს მიერ არაღიარებულ რესპუბლიკებს შორის ურთიერთობა?**

— უწინარესად, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საგარეო უწყებათა დონეზე ჩვენ სრული ურთიერთგაგება გვაქვს. ამის გამო თქვენი დიპლომატიების მადლობელი ვართ. ისინი ყოველთვის მხარს გვიჭერდნენ, არ ცნობენ ცხინვალის რეგიონს (სამხრეთ ოსეთი) და აფხაზეთს და შეგვიპირდნენ, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არ იცოდა, რომ თქვენი ბიზნესმენები აფხაზეთს ესტუმრნენ. ისინი შემდეგ მიიწვიეს სასაუბროდ, თუმცა, მესმის, რომ კერძო კომპანიის წარმომადგენლებს, არაღიარებულ სახელმწიფოში ჩასვლას ვერ აუკრძალავ.

ჩვენ გვაქვს კანონი, რომლის მიხედვითაც უცხოელები, რომლებიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ჩავლენ, ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაისჯებიან — დაჯარიმდებიან ან გისოსებს მიღმა აღმოჩნდებიან. მათ უნდა აირჩიონ: აკეთონ ბიზნესი საქართველოში ან ცხინვალსა და აფხაზეთში. ძალით, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუშლი. ჩვენ ახლო კავშირი გვაქვს თქვენს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რომელიც მენარმეებს გეოპოლიტიკურ ნიუანსებს აცნობს. ბევრმა არც

კი იცის, რომ ცხინვალში წასვლა და შემდეგ იქიდან თბილისში ჩამოსვლა, არ შეიძლება. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში ისინი მთელ ინფორმაციას მიიღებენ.

— **საქართველოში ბიზნესის კეთების, კიდევ ერთ დაბრკოლებად ტერაქტების საშიშროება შეიძლება ჩაითვალოს. ცოტა ხნის წინათ, თბილისი აფეთქებას მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა. თქვენ ირანთან უვიზო რეჟიმი გაქვთ. აზერბაიჯანის ნაციონალური უსაფრთხოების სამინისტროს ინფორმაციით კი ირანელები ისრაელის წინააღმდეგ ტერაქტების განსახორციელებლად ქართველების დაჭირავებას აპირებენ.**

— ჩვენი ოფიციალური პოზიცია ასეთია: — სანამ გამოძიება არ დასრულდება, ვერ ვიტყვით, თუ ვინ იდგა ტერაქტის უკან. ახლო ურთიერთობა გვაქვს ისრაელის ორგანოებთან. თქვენი ექსპერტები თბილისში ჩამოფრინდნენ, რათა გამოძიებაში დაგვხმარებოდნენ.

რაც შეეხება ირანთან უვიზო რეჟიმს, საზღვრები ბევრი ქვეყნისთვის გავხსენით, მათ შორის რუსეთისთვისაც. ეს ტურისტებისა და ბიზნესმენების მოსახიდად კეთდება. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ვიზები ტერორისტებისთვის დაბრკოლება არ წარმოადგენს, ირანის მოქალაქეებს ვიზის მიღება თავისუფლად შეუძლიათ, ასე რომ სიტუაცია მანკცდამაინც არ შეცვლილა. თავად ისრაელელებისგან არასოდეს გამიგია, რომ მათ ირანთან უვიზო რეჟიმი აშინებთ, მით უმეტეს, რომ ჩვენ საერთო საზღვარი არ გვაქვს.

ამასთან ერთად, საერთაშორისო საზოგადოებას, ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველაფერში, რაც კი აიათოლას რეჟიმის წინააღმდეგ მიღებულ სანქციებს ეხება. წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ ირანს ბირთვული იარაღი ჰქონდეს. ისრაელსა და ირანს შორის ომის პერსპექტივა სულაც არ მოგვწონს, რადგან პატარა ქვეყანა ვართ და ნავთობზე ფასის ცვალებადობა ჩვენზე ძალიან იმოქმედებს. ჩვენს რეგიონში არასტაბილურობის ბევრი ცენტრია: ეს არის სომხურ-აზერბაიჯანული, სომხურ-თურქული და ქართულ-რუსული ურთიერთობა... და კიდევ ერთი კონფლიქტი საერთოდ არ გვჭირდება. აზერბაიჯანში შიშობენ, რომ კონფლიქტის შემთხვევაში მათ ტერიტორიაზე ლტოლვილები გადავლენ და იმის გათვალისწინებით, რომ ვაჭრობაში აზერბაიჯანი ჩვენთვის სიდიდით მეორე პარტნიორია, იქ დესტაბილიზაცია დიდ ზიანს მოგვაცენებს. მაშასადამე, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიაში და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებს შორის ისრაელსა და ირანს შორის ომი არავის სურს.

— **ბოლოს, კულტურის და ისტორიული კავშირის თემასაც შევეხეთ. დაახლოებით ერთი თვის წინათ, ამდოდის საბჭოს დეპუტატმა, რომელიც ადგილობრივ ქართველი ებრაელების კულტურულ ცენტრს განაგებს, განაცხადა, მალე ქალაქში ქართველი ებრაელების კულტურის სახლი აშენდება. დაამყარეთ თუ არა კავშირი ადგილობრივი სათემოების წარმომადგენლებთან?**

— გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ამდოდში ჩასვლა უკვე მოვახერხე, ეს მაშინ მოხდა, როდესაც ორი ქალაქის მეგობრობის შესახებ შეთანხმების ხელმოსაწერად ბათუმიდან დელეგაცია იმყოფებოდა. როგორ პათოსურადაც არ უნდა ჟღერდეს, ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი ხალხებს შორის ურთიერთობების დამყარებაა. ისრაელში ასი-ათასამდე საქართველოდან წამოსული, მათი შვილები და შვილიშვილები ცხოვრობენ. ეს არის საქართველოს მცირე ნაწილი წმინდა მიწაზე — ბუნებრივი ხიდი ჩვენს ქვეყნებს შორის. ამას გარდა, მუშავდება გეგმა საქართველოში ებრაელების კულტურული მემკვიდრეობის შენახვის შესახებ. მთავრობა პირდება დახმარებას სინაგოგების რესტავრაციაში, ებრაული სასაფლაოების მოვლაში და ა.შ. ამ დღეებში თელ-ავივის უნივერსიტეტში იმართება ქართველი ებრაელებისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. ყველაფერი ეს ქვეყნებსა და ხალხებს აახლოვებს. ასე, რომ, მუშაობა ამ მიმართულებით მიმდინარეობს და მომავალშიც ასე გაგრძელდება.

ნათ იოსები რომ ნაწილში შეიპატიჟა. იოსებმა უცებ დაითვალა, რამდენიც იყვნენ: „შვიდი. ესე იგი შვიდი კაცია სამხედრო ტრიბუნალში! რავა უცინის სახე ამ უფროსს. ქორწინებში მოხვედრი, შე შობელძალლო, თუ დაკითხვაზე, რამდენიც გინდა, იმდენი დამკითხე, ვნახოთ, რას წაიღებ!“

ნაწილის უფროსი იცხაკისაკენ გაეშურა („აჰა, ხომ მართალი ვიყავი, აბა, ჩემთან რა საქმე აქვს!“), ხელი ჩამოართვა და რალაც უთხრა. იოსებმა ვერ გაიგო, რა თქვა უფროსმა. ნაწილის უფროსი აქეთ, იოსებისაკენ მობრუნდა, ხელი გამოუწოდა, ჩამოართვა და თქვა:

შალომ, თქვენი სახელი?

იოსები, ბატონო!

შალომ, იოსებ, შალომ!

სიტყვა „შალომის“ გაგონებამ იოსები, ცხადია, დააბნია, მაგრამ მალე მოვიდა გონს:

„ამათ ხომ ყველაფერი იციან, ყველაფერს სწავლობენ. ახლა მომეფერებინ, რომ უცებ დავამდგრო, რაც ვიცი. სწორედ მაგ ჭკუაზეა იოსები!“ – გაიღიმა.

ნაწილის უფროსის მომყოფნი ჯერ იცხაკთან მივიდნენ, პატივისცემით ჩამოართვეს ხელი, მერე – იოსებთან. ყველა „შალომს“ ეუბნებოდა, ლამის ეხვეოდა იოსებს.

ნაწილის უფროსმა დარბაზში მყოფთ თვალი მოავლო, შეკრებილნი დათვალა და თქვა:

– ესე იგი მინიანი\* ვართ, ხომ?

„მინიანიო?!“ – ყურები ცქციტა იოსებმა.

– დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენი დავალება შესრულებულია. მინიანს თავი მოუყარე. მთელ ნაწილში რვა ებრაელზე მეტი არ აღმოჩნდა, და, აი ეს ორი, ამხანაგი რაბი და – მფრინავმა იოსებს გადმოხედა – და მეზობელი...აქვე ცხოვრობს.

იოსების ყურს რალაც უცნაური სიტყვები ესმის. რა ხდება დღეს აქ?

ნაწილის უფროსმა მარჯვენა ხელი ასწია.

– მადლობთ, მიხეილ ლაზარჩი. მთავარია, რომ რაბი მობრძანდა ჩვენთან, – ხახამმა იცხაკს შეხედა და ისე თბილად გაუღიმა, გული გაგინათდებოდათ.

მერე წითელმაუფდავარებულ მაგიდასთან დაჯდა. ჩაფიქრდა, თავი ასწია, რალაცის თქმა დააპირა. აღარ თქვა. სავარძელს შეხედა, არ მოეწონა, სავარძელში რომ იჯდა, წამოხტა:

– ამხანაგებო! – უნათოდ თქვა – ხმაში სისუსტე ეტყობოდა.

– ამხანაგო პოლკოვნიკო, რა ხდება? – ხმადაბლა, დინჯად იკითხა ვილაცამ.

ნაწილის უფროსი კვლავ დაჯდა, მაგიდაზე გადმოიხარა და ის იყო რალაც უნდა ეთქვა, წამოდგა. აშკარა იყო, რალაც არ მოსწონდა, რალაცას ეძებდა და ვერ ეპოვნა.

– ბატონებო! – თქვა, მაგრამ უცებ ლენინისა და სტალინის პორტრეტებს მოჰკრა თვალი და შეკრთა. იოსებმაც ახედა ლენინისა და სტალინის პორტრეტებს. იოსებ სტალინი ილიმოდა, იოსებ ხახამაშვილს უღიმოდა და ესალმებოდა – ხელს უქნევდა. შეკრებილნი დაიძაბნენ. ნაწილის უფროსს ზოგი გაოცებული მისჩერებოდა, ზოგიც – კითხვის გამომხატველი მზერით, უფრო მეტი კი – გაოცებული.

ნაწილის უფროსმა, ისე, რომ პორტრეტებისათვის თვალი არ მოუცილებია, უცებ წამოიძახა:

– ებრაელნო! – და სახეზევე დაეტყო, რომ იპოვა ის სიტყვა, რომელსაც დაეძებდა, ამიტომ საოცრად კმაყოფილმა და აღტაცებულმა უცებ, სხაპასხუპით წარმოთქვა – ისრაელთა შვილნო, მოგილოცავთ, ჩვენ უკვე გვაქვს ჩვენი სახელმწიფო: გუშინწინ, 15 მაისს დავით ბენ გურიონმა ისრაელის სახელმწიფოს აღდგენა გამოაცხადა! – წამოიძახა და, როგორც ყოველმა ვალმოხდილმა ადამიანმა, თავისუფლად ამოისუნთქა.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

მერე ერთი – ყველაზე ხანდაზმული, თეთრწარბება, სქელი ოფიცერი წამოდგა, მას მეორე მოჰყვა – სათვალისანი, მერე – მესამე... მალე ნაწილის უფროსის ირგვლივ წრე შეიკრა. ადამიანები უხმოდ მოძრაობდნენ, თითქოს მეტყველების უნარი წართმევიათ, ვერაფერს ამბობდნენ. როგორც იქნა, სქელმა თეთრწარბებამ იკითხა:

– არკადი მარკოვიჩი, – მღელვარებისგან ხმა ჩაუწყდა, – არკაშა, რას ამბობ შენ იცი, რა თქვი?! – მოგილოცავთ, ძმებო, მოგილოცავთ, გუშინწინ, გუშინწინ!

– ამხანაგო პოლკოვნიკო!

– არკადი მარკოვიჩი!

– რას ამბობთ!

– საიდან გაქვთ ეს ცნობა!

– ეს დღეები ისტორიულია ჩვენი ხალხისათვის – გამოცხადდა ისრაელის სახელმწიფო! აი, ამიტომ გათხოვეთ საპარადოდ მორთულნი მოსულიყავით წითელ კუთხეში. დღეს ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ ღმერთს იმით, რომ ერთად ვილოცოთ. მინიანი შევეკრიბე, რაბიც აქ არის. ქუდი ყველას გახურავთ.

\* მინიანი – ქეორუმი. იმისათვის, რომ ლოცვის რიტუალი ჩატარდეს, ათი სრულსაკოვანი ებრაელი უნდა შეიკრიბოს.

ნაწილის უფროსმა გაშლილი ხელისგული თვალზე აიფარა და მკაფიოდ, შთამაგონებლად წარმოსთქვა:

– შემაყ ისრაელ, აღონაი ჰელოენუ აღონაი ეხად!\* ყოველ სიტყვას ისე აგრძელებდა, ისეთ გემოს ატანდა, რომ ცხადი იყო, სიტყვასთან განშორება უჭირდა.

იოსები გაბეჩებული წამოდგა. თვალზე ხელი აიფარა, რათა წარმოეთქვა „შემაყ, ისრაელ“, მაგრამ ვერ მოახერხა – ენა დაება, თუმცა, ბოლომდე ვერც მიმხვდარიყო, რა მოხდა. აშკარა იყო, რომ აქ არც პატიმრად მოუყვანიათ და არც მონმედ. ამას კი ხვდებოდა, მაგრამ... ამ ხალხს რაში ეკითხებოდა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა, ან ამ ფაქტის გამო სიხარული? მაგრამ „შემაყ, ისრაელი“ რომ წარმოთქვას? ის იყო იცხაკთან მისვლას და ამის გარკვევას აპირებდა, რომ იცხაკმა ხმამალა, ხალისიანად საღამოს ლოცვა დაიწყო.

ხახამ იცხაკს ისედაც კარგი ხმა ჰქონდა, დღეს კი მის მოსმენას არაფერი სჯობდა – ღვთის ანგელოზით გალობდა. იოსები კი, თითქოს ძილისგან გამოფხიზლდაო, გაოცებული შესცქეროდა დარბაზში შეკრებილთ – არაქართულად მოლაპარაკე ამდენი ებრაელი არასოდეს ენახა; ცხადია, იცოდა, ებრაელები რუსეთშიც რომ იყვნენ, მაგრამ ასე კარგნი, ასე წარმოსადეგნი, ასეთი სიტყვა-პასუხის პატრონი? აბა, ეგენი ღორის ხორცსაც არ ერიდებიანო? შეხედე, რა მონინებით დგანან სალოცავად!

მაგრამ უფრო გამაოგნებელი ის იყო, რაც ნაწილის უფროსმა თქვა – მისი ნათქვამის არსს სწორედ ახლა, ლოცვის პროცესში მიხვდა იოსები.

„ისრაელის სახელმწიფო გამოცხადდაო, რა გამოდის ახლა აქედან? ისრაელის სახელმწიფო, ისრაელთა, ებრაელთა, ჩემი სახელმწიფო?! ამას წინა თბილისიდან ჩამოსული იანკელი რო ლაპარაკობდა... მოიცა, მოიცა... ვის არ უნდა, ისრაელისშვილებს თავისი სახელმწიფო ჰქონდეთ? ინგლისი! კი ბატონო, ინგლისი! და დავით ბენ გურიონმა ინგლისს მოუგრიხა კისერი? ბიჭი მაგ ყოფილა, მაგან უნდა თქვას, კაცი ვარ, ქუდი მხურავსო, გამჩენს უცნია ჩემი საქმეო!

იოსებს გააყრყოლა.

ორმოცწელს მიღწეული, ჯან-ღონით სავსე კაცი იყო და გულის ასეთი შეფრთხილება, როგორც გაყრყოლებას მოჰყვა, არასოდეს უგრძნია. ულონოდ დაეშვა სკამზე. ხახამ იცხაკი კი ანგელოზით გალობდა.

თავი ასწია. სამხედრო ფორმაში მორთულ ხალხს გადახედა, როგორ უბრწყინავდათ სახეები! ის ოფიცერი, რომელმაც იოსები აქ მოიყვანა, მაგიდაზე თეფშებს, ჭიქებს, არყით სავსე ბოთლებს, ხილს, კონსერვებს ხიზილალათი სავსე ჯამებს ალაგებდა.

ხახამ იცხაკმა ლოცვა დაამთავრა თუ არა, ნაწილის უფროსმა ჭიქა აიღო ხელში.

– მობრძანდით, ებრაელებო, დავლოცოთ ჩვენი სახელმწიფოს დაბადება, გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს – იოსებ ბესარიონის ძე სტალინს, სწორედ მისი შემწეობით მოხდა ეს ამბავი! – შესძახა, არაყი გადაჰკრა და ისეთი ებრაული სიმღერა წამოიწყო, იოსებს ლამის არაყი გადასცდა ყელში. სიმღერა სწორედ ეს იყო. აბა, ის არის სიმღერა, შალიკო მეგარმონე რომ დაალებს პირს და ყოყინებს?!

სიმღერა დამთავრდა თუ არა, ოფიცრები ნაწილის უფროსს მივარდნენ, ხელში აიტაცეს და ბურთივით ისროლეს ჰაერში, თან შესძახეს:

– ლეხაიმ!

ისევ მალა აავდეს და ისევ შესძახეს:

– ლეხაიმ!

მერე ვილაცამ სიმღერა წამოიწყო: – ლეხამ, ლეხაიმ!

– ისრაელები ესენი ყოფილან, რამდენი სიმღერა სცოდნიათ, – ჩაილაპარაკა სიხარულმორეულმა იოსებმა. სიხარულის მიზეზი კი ისიც იყო, რომ ამ სანახაობის მონაწილე გახდა.

იმ საღამოს ოფიცრებს არაფერი დაუკლიათ: არც სმა, არც სიმღერა, არც — ცეკვა. ისინი რომ ცეკვას იწყებდნენ, იოსებს ეგონა, სადაცაა იატაკი ჩაინგრევაო.

იოსებიც კი ჩაიყენეს წრეში. ხელიხელგადახვეულნი ცეკვავდნენ, ერთმანეთს ფეხს უწყობდნენ, შესცინოდნენ. იგრძნო, რომ ამ ხალხს ძმად ეგულვებოდა. იოსებიც ძმად ეგულვებოდათ და ხახამ იცხაკიც. ეს რომ იგრძნო, უფრო ღონივრად ჩასჭიდა ხელები თავის აქეთ-იქითა მეზობელს, თავი მალა ასწია, მათთან ერთად წარმოიდგინა თავი ისრაელის მზის ქვეშ და შაბათის მობრძანების მაუწყებელი სიმღერა „ლეხა დოდი“ ისე მხნედ წამოიწყო, ოფიცრები შეჩერდნენ, იოსებს ყური მიუგდეს. ხახამ იცხაკმა უცებ აუწყო ხმა იოსებს, მერე რომელიღაც ოფიცერმა აუწყო ხმა, მერე კიდევ სხვამ და მალე ყველა ერთად ამღერდა. ეს ათი კაცი ისე მღერობდა, გამგონე იფიქრებდა, დიდი ჯარი შეკრებილა და ამღერებულაო.

სახეები უბრწყინავდათ.

ბედნიერი იყვნენ.

\* შემაყ ისრაელ, აღონაი ელოენუ აღონაი ეხად! — ისმინე ისრაელ, ერთია ღმერთი ქვეყნიერებისა და იგი არის ღმერთი ჩვენი!

– რას მოგვასწრო ამას, ხახამ იცხაკ, გამჩენმა, რას მოგვასწარით, ჰა? – უთხრა იოსებმა იცხაკს, სამხედრო ნაწილიდან რომ გამოდიოდნენ.

– აბა, რა გეგონა შენ! ხომ გეუბნებით, ღმერთი არ მიგვატოვებს...

იოსები და იცხაკი იქვე, სამხედრო ნაწილის სამორიგეთსთან დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ორივენი ბედნიერნი იყვნენ, ორივე ღლინ-ღლინით გაუყვა გზას. იოსებს შინ მისვლა არც ეჩქარებოდა, ენადა, ასე ღლინით ევლო ქუჩა-ქუჩა, ამიტომ შინ მისასვლელად შორი გზა აირჩია – ბაზარს შემოუარა და შებინდებისას მიადგა ჭიშკარს. ეზოშიც ღლინით შევიდა, იმედით სასემ ალერსიანი მზერით გადახედა არემარეს. და ის იყო უნდა დაეძახნა, ლია გამოდი გარეთ, რა გახაროო, ორი კაცი დალანდა ეზოში

– ესენი ვინ არიან აქ და რა უნდათ! – თავს შესძახა და სტუმრებს მიუახლოვდა. რა გინდათ აქ, ჩემს ეზოშიო, მკვახედ შეეკითხა, თუმცა, დიდი მიხვედრა არ უნდოდა, თუ რატომ უნდა მოსულიყო ეს ორი მფრინავი – **Дай водку!** – გორიზად თქვა ერთმა.

იოსები უცებ წამოენთო, სიბრაზე სახეზე მოაწვა.

– არ არი ვოდკა, მარშ, მარშ აქედან! აბა, ახლავე მოუსვით!

არაყზე მისულ მფრინავებს ასეთი სიტყვები არასოდეს სმენიათ, ამიტომ ერთ-ერთმა მფრინავმა იოსებს მხარში ჩაავლო ხელი, შეაჯანჯლარა და უყვირა:

– **Ты что, не слышишь! Дай водку!**

ფრაზა დამთავრებული არ ჰქონდა, იოსებმა რომ შესძახა:

– ვის უბედავ ამას, შე ლანირაკო! – და მარჯვენა ხელი ქვევიდან ისე ძლიერ ამოჰკრა ყბაში, რომ მფრინავი შებარბაცდა. ეს დარტყმა თითქმის არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც მერე მოხდა: – იოსები მფრინავს ისე ურტყამდა, თითქოს დენზე შეერთებული ავტომატი იყო. მეორე მფრინავმა ის კი იყვირა, რას შერებდი, ვის ურტყამო, ხელიც მოიქნია, მაგრამ სხვა კი ვერაფერი მოასწრო. იოსების ნიჩაბით ფართო ხელი ისე მოხვდა სახეში, რომ თვალებიდან ნაპერსკლები ჰყარა და სიმწრისაგან იკივლა. ამ კივილმა მოახედა თურმე შარაზე მიმავალი კალე წულაია. მერე კალე წულაია მეზობლებს უყვებოდა:

– ჩხუბი ბევრი მინახავას, მაგრამ ამნაირს არაფერს შევსწრებოვარო. ეს იოსები ვინ ყოფილა! ერთმა მფრინავმა ქამარი რომ შეიხსნა და იმით დაუპირა მოგერიება, მას მერე სულ გადაიჩია, თავი კინოში მეგონა, იმ ჩხუბს ისე ვუყურებდი, როგორც კინოს, ამიტომ ის ბიჭები რომ გაიქცნენ, გული დამწყდა, რა კარგი კინო რა მალე დამთავრდა-მეთქი.

მფრინავები გაიქცნენ. თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ ეზოდან. იოსები მისდევდა და რომელსაც მოიხელთებდა, იმას ურტყამდა. ერთმა ჭიშკართან ღობის მოგლეჯა და იოსებისათვის თავში ჩარტყმა მოინდომა, მაგრამ ფიცარი ეგრე იოლად ვერ მოგლიჯა, ამიტომ მისწრო იოსებმა, თავში იმდენი უბათქუნა, კალემ შესძახა ხო არ უნდა მოკლა ეგ ოხერიო.

\* \* \*

მეორე დილას იოსები ადრე ადგა. ბაზარში გავარდა. ქათმები იყიდა, სალოცავში წაიყვანა, დააკვლევინა. ლიას სამი დაკლული ქათამი რომ დაუყარა წინ, ქალი გაოცდა, რა ამბავია, ქორწილი რა ხანია გადავიხადეთო.

შაბათს დიდი, კარგი სტუმრები უნდა მოვიყვანო სახლში! – თქვა იოსებმა.

დაბაში ძროხას ხუთშაბათობით კლავდნენ. ხუთშაბათს ხორციც მოიტანა შინ, სხვა სანოვავაც მოზიდა და პარასკევს, დილადრიან მიადგა სამხედრო ნაწილს, რათა უფროსისათვის ეთქვა, ხვალ შენ და შენი მეგობრები სადილზე უნდა მესტუმროთ, აგერ ვცხოვრობ, მეზობლადა. სამორიგეოში შევიდა და მორიგეს მოახსენა, ნაწილის უფროსის ნახვა მინდაო.

მორიგე ზანტად მოუბრუნდა, ერთხანს უხმოდ უყურა და მერე თქვა:

– ორი დღეა, ჩვენს ნაწილს უფროსი არა ჰყავს. ეგეცა და სხვა ჟიდებიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურაში წაიყვანეს. შემცვლელი ჯერ არ დაუნიშნავთ.

იოსები, ცხადია, ვერ მიხვდა, ნაწილის უფროსი რატომ უნდა წაეყვანათ სამხედრო პროკურატურაში, მაგრამ გული კი დაწყდა, ასეთი კარგი ხალხი ოჯახში რომ ვერ მიიწვია. უხალისოდ გამობრუნდა შინისაკენ, რათა ლიასთვის ეთქვა: „ხომ იცი სამხედრო ხალხის ცხოვრება – დღეს აქ არიან, ხვალ კიდევ შორს გზავნიან; ის საპატივცემულო ხალხიც წასულა ჩვენგან, ტყვილა ნუ შეასკდები მაგ საქმეს“, მაგრამ ჭიშკარს რომ მიადგა, მოულოდნელმა აზრმა გაუნათა გონება:

„ამოდენა ამბავი მოხდა – სახელმწიფო შეიქმნა. თუ ისინი წავიდნენ, ჩვენს ჯამაათს დავპატიყუებ, ერთმანეთს ხომ უნდა მივულოცოთ ისრაელის სახელმწიფოს შექმნა?

და ხალხით შევიდა ეზოში.

რას ვპიტიხ ულოპთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება მთავარი რაბინის მ.შ. აბიმილემ როჯინბლატი



მ  
ე  
ნ  
ო  
რ  
ა

ჩვენი ბრძენი ამბობენ, რომ კვირის საკითხავი თავები ერთმანეთის მიყოლებით შემთხვევით არ არის განლაგებული. არის კავშირი მათ შორის, ასევე თავები: „შმინი“ და „თაზრია“. კვირის საკითხავი თავის „შმინი“ ბოლოში მოთხრობილია ქაშერი და არაქაშერი ცხოველების შესახებ. ბრძენი გვეუბნებიან: ადამიანი, რომელიც არაქაშერს მიირთმევს უწმინდურდება, მისი გული და ტვინი იკეტება და მისთვის რთულია სულიერებასთან დაკავშირებული საკითხების გაგება. მისთვის ასევე რთულია ოჯახური სინამდის კანონების შესრულება, რომელზეც საუბარია წინამდებარე თავში — „თაზრია“. წიგნის „ფრი ეც ჰაგან“ ავტო-

რი წერს, რომ ქალი ორსულობის პერიოდში განსაკუთრებით უნდა გაფრთხილდეს და არ მიირთვას აკრძალული საკვები, რადგან ეს ნაყოფის განვითარებაზე მოქმედებს. ჩვენ ყოველთვის არ გვემის, თუ როგორ მოქმედებს ერთი მეორეზე? მაგრამ ამის მიუხედავად, ეს კავშირი არსებობს და მოქმედებს როგორც ცუდად, ასევე კარგად.

ევროპაში თავისი პირველი ვიზიტის შესახებ რაბი შალომ შვადრონ ჰაქოენი იხსენებდა, როცა მატარებლით ანტიერპენიდან ამსტერდამში მიემგზავრებოდა. ივრითზე საუბარი მოესმა, მიმოიხედა და დაინახა, რომ შორიახლოს მჯდომი ადამიანი დაჟინებით მისჩერებოდა. ამ ადამიანმა რა შეამჩნია, რომ რაბინმა ყურადღება მიაქცია, გვერდით მიუჯდა და თქვა: „შალომ“. ალბათ, რაბის იერმა თუ მიიზიდა. შემდეგ რაბის ბოდიში მოუხადა, ივრითი კარგად არ ვიცოი და გერმანულად გამოესაუბრა: მხატვარი ვარო და ამსტერდამში სურათების გამოფენაზე მივმგზავრებო.

— ხო მართლა, მიუხედავად იმისა, რომ არარელიგიური ვარ, მხოლოდ ქაშერ პროდუქტს მივირთმევ. რატომ ვაკეთებ ამას? იმიტომ, რომ სხვა საკვებს ვერ ვიტან. გთხოვთ, მომცეთ მისამართები ამსტერდამში სად შემიძლია ქაშერი საკვები მივიღო?

საუბარი გაგრძელდა. უცებ იგი ამბობს: — კი, მე არარელიგიური ვარ, მაგრამ მამაჩემი მკაცრად იცავდა ყველა კანონს. და რაბის უამბო ერთი ამბავი, რომელიც მამას შეემთხვა: მამაჩემი უილიამის, გერმანიის უკანასკნელი იმპერატორის, არმიის ჯარისკაცი იყო. თავად მოგეხსენებათ, რომ ჯარისკაცობა არცთუ ისე ადვილია. მით უმეტეს, როდესაც უარს ამბობ არაქაშერ საკვებზე. მამა მხოლოდ პურს და ბოსტნეულს მიირთმევდა. მისმა უფროსმა შეამჩნია, რომ მამა დღითი დღე სუსტდებოდა და ხდებოდა და დაემუქრა, თუ ასეთ საქციელს არ მოეშვები, გაიროზგებო. ბო-

ლოს და ბოლოს სასტიკად სცემა. დამცირებულმა და ნაცემმა მამამ იმპერატორს მისწერა, რომ ის ებრაელია და იცავს თორის კანონებს. ამიტომ არ შეუძლია ყველაფრის ჭამა. და ჯარში არა მარტო ქაშერ საკვებს არ აძლევდნენ სასტიკად სცემეს.

გავიდა ორი კვირა. ერთ დღეს ყველა ჯარისკაცი მწკრივში ჩააყენეს. რა ხდება? კითხულობენ ჯარისკაცები. იმპერატორისაგან წერილი მოვიდა და მეთაური წაგიკითხავთო. ვიდრე წერილის კითხვას დაიწყებდნენ, მამა სამი ნაბიჯით წინ დააყენეს. ხომ წარმოგიდგენიათ მისი მდგომარეობა? — ალბათ, ჩემი თავხედობის გამო განსაკუთრებულად დამსჯიანო, ფიქრობდა.

მეთაურმა გახსნა წერილი და წაიკითხა: — რადგანაც ესა და ეს ჯარისკაცი ჩივის, რომ მას არ აძლევენ ქაშერ საკვებს, გიბრძანებთ, უშოვოთ ქაშერი საკვები. თუ ასეთს ვერ იშოვით, იშოვით ადგილი, სადაც შეიძლება მისი შოვნა, და თუ არა, მიეცით ფული და ის თავად იშოვის შესაბამის საკვებს. აუცილებლად საქიროა დაეხმაროთ მას ყველანაირად.

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ, მამას მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა.

რაბი შვადრომი უსმენდა და ფიქრობდა, რომ მისი თანამგზავრი ვერ ხვდებოდა, თუ რა კავშირია მამამისის ასეთ საქციელსა და მის მიდრეკილებაზე მიიღოს მხოლოდ ქაშერი საკვები, მხატვარი ვერ ხვდება, თუ როგორ გაუჯდა მას სულში მამის თავდაუზოგავი მისწრაფება.

გემარაში ნათქვამია: „ვაჟი ღირსყოფს მამას, ხოლო მამა ვერ ღირსყოფს ვაჟიშვილს“. ასე აბრაამს არ შეუძლია იშმაელის გადარჩენა, ხოლო იცხაკს — ყესავისა. მაგრამ ეს ეხება ყოლამ ჰაბას (მომავალ სამყაროს). ჩვენს სამყაროში კი, უდავოდ, ბევრი სინამდის და სისუფთავე გადასცა აბრაამმა იშმაელს, ხოლო იცხაკმა — ყესავს, მაგრამ ისინი წახდნენ და დაკარგეს მომავალი სამყარო.

საჯაათო სამსახურის მაღლი

ბოლო თვეების განმავლობაში თბილისის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთში მოსული ადამიანი უთუოდ შეამჩნევდა ერთ ჭალარაშერულ, თბილად მომღიმარ ადამიანს, რომელიც გულითადად მსახურებს საჯაათო საქმეს. იგი ბეით ქნესეთში ადრეც შესამჩნევი გახლდათ, როგორც ერთგული მლოცველი, მაგრამ ბოლო თვეებში საჯაათო საქმეშია ჩართული. ეს გახლავთ ოთარ ნინუაშვილი.



ბატონო ოთარ, სინაგოგაში რა მოვალეობა ასრულებ?

— გაბაის მოადგილე ვარ, სამეურნეო სამუშაოები მევალება. ხელმძღვანელობაში სამი კაცი ვართ — ფირუზ კორობაშვილი, სოსო აჯაიშვილი და მე. ვუძღვე-

ბით საქმეს. სალოცავში ამჟამად რემონტი მიმდინარეობს და ამ პროცესს ყურადღების მიქცევა უნდა. მალე დასრულდება ზედა სართულის რემონტი და სამუშაოები ქვედა სართულზე ჩამოვა.

რამდენად დადის ხალხი სალოცავად?

— რა რაოდენობის ხალხი უნდა დადებოდეს, არ დადის. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ თბილისის ებრაელობა შემცირდა. რაც შარშან და შარშანწინ იყო იმასთან შედარებით ებრაული მოსახლეობა საგრძობლად შემცირებულია. ჩვენ ყველა მათგანს ვუფრთხილდებით და ვცდილობთ ყველანაირი პირობა შევქმნათ იმისათვის, რომ ხალხი მოვიზიდოთ. მაგალითად, გასულ წელს მთელ საქართველოში რვა ტონანახევარი მაცა გაიყიდა, წელს კი მხოლოდ ექვსი. ეს იმას ნიშნავს რომ ხალხი არ არის, თუმცა, ამ ექვს ტონას უნდა დაემატოს „ხესედ ელიაჰუს“ და ჩვენს მიერ უფასოდ დარიგებული მაცა. დღევანდელ საქართველოს ებრაელობას მთლიანობაში რვა ტონა მაცა სჭირდება. ასეთ საქმეებს ვხელმძღვანელობ და ყველანაირად ვცდილობთ ხალხს ნორმალური არსებობის პირობებში შევუქმნათ. მაგალითად, ახლახან სინაგოგის ეზოში პატარა მაღაზია გაიხსნა, სადაც ქაშერი საკვები — სოსისი, სარდელი, ქათმის, ინდაურის ხორცი გაიყიდება. პროდუქცია ისრაელიდან შემოდის. საკმაოდ მისაღები ფასებია. მაგალითად, სოსისი

ჩვენთან 12 ლარი ღირს. ნელ-ნელა ხალხიც იგებს ინფორმაციას და ვაჭრობაც იწყება.

ვინ ამუშავებს მაღაზიას?

— პროდუქცია დავით ნინუაშვილმა შემოიტანა. მისმა ცოლმა მოიტანა განცხადება, იმის შესახებ, რომ ეს პროდუქტი ბარათაშვილის ორ ნომერში მდებარე მაღაზიაში უნდა გაყიდულიყო, იქ სადაც „ხესედ ელიაჰუს“ სამზრუნველო პირები დახმარებას ლეზულობენ. თუმცა, იმ მაღაზიაში პროდუქტს დანამატი ექნებოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, მაღაზია ჩვენს ეზოშივე გაგვეხსნა. დავით ნინუაშვილს პატარა ოთახი გამოვუყავით და ყველაფერი ორ დღეში მოგვარდა. ხალხს შეღავათი ნამდვილად აქვს. ხორცის პრობლემასაც აუცილებლად მოვაგვარებთ. ვცინდა, ეზოშივე გავაკეთოთ რესტორანი, სადაც, რა თქმა უნდა, ქაშერი საკვები იქნება. ერთი ადამიანი შეგვპირდა დაფინანსებას და ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები. ასაკაციანი დარბაზი იქნება. რემონტის დასაწყებად ადგილი გამზადებული გვაქვს. დაბადების დღე იქნება, ქორწილი თუ ნიშნობა, შეუძლიათ ამ წმინდა ადგილას აღნიშნონ. ასევე ბევრი ტურისტი მოდის და ქაშერ საკვებს თხოულობს, თუმცა ჩვენ აქ საკვების მომზადების შესაძლებლობა არ გვაქვს. ამიტომ რესტორანი აუცილებლად გვჭირდება.

გიუნტერ ბრასის ლექსის ირგვლივ

გერმანელმა მწერალმა გიუნტერ გრასმა, გამოაქვეყნა ლექსი: „რაც უნდა ითქვას“. ლექსი, ისრაელის პოლიტიკას ეხება. გრასი ისრაელს „ირანელი ერის განადგურებაში“ ადანაშაულებს. მწერალი აცხადებს, რომ „ალარ შეუძლია გაჩუმება“, რადგან „ხვალ შეიძლება ძალიან გვიანი იყოს“ და შეიძლება მისი ქვეყანა „ამ დანაშაულის თანამონაწილე“ გახდეს — სწორედ ასე აფასებს გიუნტერ გრასი, ბერლინის თანხმობას ისრაელისთვის „დელფინის“ კლასის ატომური წყალქვეშა გემის მიყიდვის შესახებ — წერს საიტი ridus.ru.

კითხვაზე, აქამდე თუ რატომ არ აკრიტიკებდა ისრაელს, გრასი პასუხობს, რომ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ამ საკითხს წინ წამოწევს, მაშინვე ანტისემიტიზმში ადანაშაულებენ. „ვალიარებ — აღარ გავჩუმდები, რადგან დასავლეთის ფარისევლობა ცუდად მხდის“, — წერს გიუნტერ გრასი.

ლექსმა ისრაელისა და გერმანული საზოგადოებრიობის მხრიდან დიდი კრიტიკა გამოიწვია. აღნიშნავს New Straits Times. „ეს ლექსები უბრუნდებიან ევროპის ტრადიციას — აღდგო-

მის წინ, ებრაელების რიტუალურ მკვლელობებში დადანაშაულებას“ — განაცხადა ბერლინში ისრაელის საელჩოს მეორე მდივანმა — ემანუელ ნახშონმა. „ადრე, ებრაელებს იმაში ადანაშაულებდნენ, რომ ისინი მაცაში ახალშობილი ქრისტიანების სისხლს ურევდნენ. ახლა კი, წერენ ისრაელი ირანელების განადგურებას გეგმავს“, — დასძინა ნახშონმა და დაასკვნა — „ჩვენ ყველა მეზობელთან მშვიდობიანი თანაცხოვრება გვსურს.“

თავის მხრივ, გერმანული პრესის წარმომადგენლებმა, გიუნტერ გრასს შეახსენეს თავისი აღიარება იმის შესახებ, რომ იგი „ეს ეს“-ის ჯარებში მსახურობდა. ამის შესახებ მან 2006 წელს გამოცემულ ავტობიოგრაფიულ წიგნში დაწერა. აქამდე გრასი სახალხოდ აკრიტიკებდა ნაცისტური წარსულის ადამიანებს. ებრაული წარმომავლობის მწერალმა და ჟურნალისტმა ჰენრიკ ბროდერმა გამოცემაში Die Welt გამოაქვეყნა პასუხი გრასისადმი, რომელშიც მას „კულტურული ანტისემიტის პროტოტიპი“ უწოდა.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია თანაგრძობას უცხადებს საქართველოში „ჯოინთის“ პირველ წარმომადგენელს მენახემ ელაზარს დედის —

**დეზორა აქოშვილის** გარდაცვალების გამო.

ფირუზ კორობაშვილი, მარიამ გელაშვილი იუნყებიან ახლო ნათესავის —

**დეზორა აქოშვილის** გარდაცვალებას და თანაგრძობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ციალა, გურამ და მალხაზ ბათიაშვილები თანაგრძობას უცხადებენ მენახემ ელაზარს დედის —

**დეზორა აქოშვილის** გარდაცვალების გამო.





(დასაწყისი იხ. „მ“ №6)

# ქართული პალესტინიანა

იცხაკ ღავილი

გარდა ამისა, როგორც სამართლიანად ვარაუდობს იტალიელი მკვლევარი პალმერი, მონოთეისტურ ტრადიციებს

საქართველოში, ებრაელების გავლენით უკვე გარკვეული გავრცელება ჰქონდათ.

პონტოს კავკასიური არეალის ევანგელიზაციის საკითხიც არაა საბოლოოდ დადგენილი. აღმოს.-ბიზანტიურ საქრისტიანოში, ქართველი ბერების მიერ შექმნილი ვერსია წმ.ანდრია მოციქულის მიერ საქართველოს მოქცევაზე (მდრ.მ. ლე-ქევინი, აღნიშნული დანართი, Oriens Christianus) ვერ დასტურდება სათანადო ყამთალწერილობითი წყაროებით, მაშინ, როცა რომის იმპერიის ერთ-ერთი პროვინციიდან ქართველების მიერ წარმოცვევებული ქრისტიანი ქალის ნინოს სამოციქულო-ევანგელური ქმედებანი (320-330 წლებში) რეალურ ისტორიულ საფუძველს ეყრდნობიან (იხ. ქ ც, 1, გვ.72 და შემდეგ) ასევე (Sdr. Rufin, Histoire ecclésiastique, 1, I, c, x, p, l, t. XXI, col,480) ნინოს გარკვეული კონტაქტები დაუმყარებია საქართველოში მცხოვრებ ებრაელებთანაც, მას სცოდნია ებრაული და ამ ენაზე ელაპარაკებოდა ებრაელებს, ვახუშტით (გვ.78).

აქ, ცხადია, კავკასიაში საერთოდ და საქართველოში კერძოდ არსებული ებრაული კოლონია, რომელიც უკვე არანაკლებ 700-800 წლის მონყვეტილი იყო ახლოაღმოსავლურ და პალესტინურ რთულ სოციალურ-პოლიტიკურ სინამდვილეს და რელიგიურ-სარწმუნოებრივ ძვრებს და მართალია ძლიერი ხალხური ტრადიციისა და ებრაული მონოთეისტური შეხედულებების (თუმც არა სისტემური) გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, საქართველოს ქრისტიანიზაციის ეტაპზე, გარკვეული დილემის წინ აღმოჩნდა, მისთვის ქრისტიანობა, იუდაისტური რელიგიის რველაციური გაგრძელება იყო, და ასეთი სარწმუნოებრივი გაურკვევლობის ვითარებაში, არაა გამორიცხული ებრაულ-ქართული საურთიერთო რელიგიური მოქცევების რთული და ხანგრძლივი პროცესი, საერთო პროზელიტურ პირობებში.

ამასთან, თვით იუდაიზმის შინაგანი არსი, ღმერთშემეცნების დიალექტური იდეა, იაჰვე (იელოვა) რაც ღმერთის ეპითეტს წარმოადგენს და ყოფნა ზმნის ყველა დროით ფორმას შეიცავს, ე.ი. (იყო — არის — იქნება) გარკვეულ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა რელიგიის, რწმენის ჰუმანიზაციასთან, ანუ მარადარსებულის სტატიზაციასთან, ღვთაების ადამიანის სახეში განსახიერების ფენომენთან. (მდრ. ქ ც, 1, გვ.78).

ურთიერთობები საქართველოს მეფესა და იქ მცხოვრებ ებრაელებს შორის, პირველ საუკუნეებში, შეიძლება ითქვას არ სცილდებოდნენ რელიგიურ-სარწმუნოებრივ ურთიერთობათა სფეროს. იერუსალიმით მოსულნი ებრაელები განიხილებოდნენ ქრისტეს კუარათის მომტანებად და მათ გარკვეული პატივისცემით ეპყრობოდნენ. გარდა ამისა, მცხეთელი ებრაელები არ იგივდებოდნენ ადგილობრივი ქრისტიანი მცხოვრებლების ცნობიერებაში „უფლის მანამებელ“ იერუსალიმელ ურიებთან. ყურადსაღებია ქ ც-ის შემდეგი ადგილი (ტ.1, გვ.118)(მდრ. ვახუშტი, გვ.89).

შეიძლება ითქვას, რომ იუდაიზმის წიაღში წარმოჩენილი, აღმოცენებული ქრისტიანობა თა-

ვისი შინაგანი არსით უთუოდ წარმოადგენდა წინ გადადგმულ, გაცნობიერებულ სარწმუნოებრივ საზრისს არაებრაული წარმართი ტომებისათვის, რომელთაც მისი სახით გაცილებით უფრო ჰუმანური, გრძობადი და ამალეებული იდეალი მიეცათ. ებრაელები კი, რომლებსაც პირველ ხანებში, ქრისტიანული მოვლენები იუდაიზმის ბუნებრივ გაგრძელებად მიაჩნდათ, გარკვეულ დაბნეულობაში აღმოჩნდნენ, არ იცოდნენ რა, როგორ მოქცეულიყვნენ. საბოლოოდ, როცა ქრისტეს იდეალი ეროვნებათშორის, ჰუმანიზებულ სახედ იქცა (რაც ორ ძირითად ებრაულ პოსტულატს დაუპირისპირდა: 1. მონოთეისტური ღმერთი; 2. აბსტრაქტულობას მოკლებული ადამიანი — ღმერთის სახე) სათანადო დასკვნებიც შესაბამისად იქნა გაკეთებული. ამაზე მოუთითებს სხვათაშორის „ჰრომის კეისრის წიგნი თრდატ სომეხთა მეფისადმი“, რომელიც ნინოს მოქცევის ტექსტშია ჩართული. (ქ ც, ტ.1, გვ.82-83)

წინაპართა სარწმუნოებისა და ეროვნული ტრადიციების დამცველმა ებრაელებმა არ დაინდეს თავისი სულიერი წინამძღოლის ელიოზ მცხეთელის შვილიშვილი აბიათარი. (იხ.ქ ც, ტ.1, გვ.102)

თავისთავად, ქართულ-ებრაული პროზელიტიზმი არ ყოფილა მყარი. გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის მოვლენები აიძულებდნენ ქრისტიანობაზე მოქცეულ ებრაელებს, პირი მამა-პაპური სარწმუნოებისაკენ ებრუნათ, ამაზე მიაჩინებენ სიდონიას სიტყვები. (იხ.ქ ც, 1, გვ.113)

საქართველოში არსებულ ეთნიკურ ერთეულებს, კერძოდ კი ქართველურ ტომებსა და ებრაელებს, რომლებიც პაგანიზმის, მაზდეიზმისა და სხვა წარმართული სარწმუნოებების გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი (ამაზე ნათლად მეტყველებენ ქ ც-ის შემდეგი ადგილები; ტ.1, გვ.87-88,89) საერთო ტენდენცია უნდა ჰქონოდათ რელიგიური სინკრეტიზმისაკენ, ამასთან განა შეიძლება გამოირიცხოს შესაძლებლობა საქართველოს ქრისტიანიზაციისას, ქართველური ტომების, განსაკუთრებით კი ქართლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის იუდაიზაციისა? ცხადია, ქრისტიანული რელიგიური ტალღის დანოლის შემდეგ ხდება და ადგილი აქვთ ეთნო-რელიგიურ საურთიერთო მოქცევებს, ამაზე უნდა მიაჩინებდეს ქართლის მოქცევის შემდეგი ადგილი (ტ.1, გვ.95; ვახუშტი, გვ.80)

აბიათარ მღვდლის პიროვნება, საკმაოდ კოლორიტულია ქ ც-ში. იგი იყო არა მარტო თავის თანატოლთა მოძღვარი და ხელმძღვანელი, არამედ მწიგნობარიცა და მჭევრმეტყვეელიც, პ. ინგოროყვას აზრით, აბიათარს უნდა განეკუთვნებოდეს წიგნი — ცხოვრება და მოქცევა ქართლისა, და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელინ რომელთა ტომთანი ვართ... აღწერილი აბიათარისი ქართველი მკვლევარი დასძენს: „ეს რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ დასახელებული ნაწარმოებები უშუალოდ აბიათარის მიერ იყო დანერგილი. ისევე როგორც ნინოს სახელის ზედწერილით ქვეყნდებოდა თხზულებანი შემდეგ ხანაში, ასევე შესაძლოა, ეს თხზულებაც შემდეგ ხანაში იყო გამოქვეყნებული აბიათარის სახელის ზედწარწერით“ (იხ.პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მნათობი, 1939, №4, გვ.107-108,137-138)

საქართველოს ქრისტიანიზაციის პირველ საუკუნეებში უნდა შექმნილიყო ისეთი სიტუაცია, რომელიც იქ მცხოვრებ ებრაელ მოსახლეობაში

გააძლიერებდა სინკრეტულ სარწმუნოებრივ ტენდენციებს. (მაგ. იქ, სადაც ლაპარაკია სვეტზე ქ ც-ში, ტ.1, გვ.115: „პირველად მოვიდა ჰურია ვინმე, ბრმა შობითგან მიეახლა სუეტსა მას და იქმნა მხედველ მუნქუესვე, და ადიდებდა ღმერთსა“) ეს იყო დაბნეულობის, გარკვეულწილად დანაშაულის შეგრძნებისა თუ სინდისის ქენჯნის განწყობილება, ხაზგასმული აგრეთვე ბიბლიურ-წინასწარმეტყველური ვერსიით, ებრაელთა დასჯა და მათ განბნევაზე. ნიშანდობლივია ამ მხრივ აბიათარის სიტყვები (ტ.1, გვ.95-96. მდრ. ვახუშტი, 80-82)

ასეთ რელიგიურ სინკრეტულ განყოფილებებს ეხმაურებოდნენ ებრაული მესიანისტური მისწრაფებები. კარგად გამოსთქვა ეს ლ. მარშალმა: — მესიას მოლოდინში, ებრაელებმა იესო მესიად მიიჩნიესო. (იხ. L.marshall, gudec-christians, dict. det.c., t.8, i923, pp.i68i-i709)

09 კლასიკური მონოთეისტური იუდაიზმის ფონზე, თავის არსითა და მიზანსწრაფვით, ქრისტიანობა სენტიმენტალურ რეაქციას წარმოადგენდა. ბიბლიაში აღწერილი წინასწარმეტყველებანიც კი, გარკვეული სახის სენტიმენტალიზაციას განიცდიდნენ მრავალენოვანი ქრისტიანული თარგმანების ფარგლებში. ასეთი ინტერესი, ძველი აღქმის ნაწილებისადმი შემთხვევითი არ ყოფილა ქართველთა მოღვაწეობა-მწიგნობრობის პერიოდშიც. მარტო ერთ ჯვრის მონასტერში, გასული საუკუნის ბოლომდე დაცულ ხელნაწერებს რომ გადავხედოთ (დღეს ბერძნულ საპატრიარქო ბიბლიოთეკაში) აღმოვაჩინებთ არა ერთ თარგმანს წინასწარმეტყველთა წიგნებისას: იოვი, ამოს, აბდოს, იონა, მიქია, ნაუმ, ამბაკუმ, სოფონია, ანგეა, ზაქარია, მალაქია, იერემია, ბარუქი, იეზეკიელი, დანიელ, ეზრა და სხვ.

გალილეელი ებრაელის მიერ პროპაგანდირებული ახალი სარწმუნოება, თავდაპირველად მხოლოდ ებრაელებისადმი განკუთვნილი, ერთაშორის მსოფლიო უნივერსალურ რელიგიად იქცა. საკუთრივ ებრაელობაში, არაერთი ქრისტიანული ებრაული ჯგუფები წარმოიშვა, რამაც თავისი ასახვა დაიასპორაში, კერძოდ, საქართველოში მცხოვრებ ებრაელებსა და მათ სამოსახლოებშიც მოგვცა.

ეს იყო გარდამავალი, რელიგიათშორისი იუდაისტურ-ქრისტიანული სინკრეტიზმი, დაუნაწევრებელი, დაუმლელი, ადრეული, დაუნმინდავი (ნაზარიანები, ებიონები, მინიმები — ებრ. სიტყვიდან „მინ“=ჯური, სექტა)(ჟ. Neusner.ed.Cristianity, Judaism and other Greco-Roman cults, Leiden,1975; ასევე, J.Mancini, Le scoperte Archeologiche sui Giudei Cristiani, Assisi,1968)

ამ სახის სინკრეტულ-პროზელიტური ურთიერთშემწყნარებლობა საქართველოში, მე-4 საუკუნემდე, მირიან მეფის დროს, ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე გაგრძელდა...

პალესტინიდან ქრისტიანობის თანდათანობითმა შეღწევამ მეზობელ ქვეყნებში და ადგილობრივი მოსახლეობის პროზელიტიზაციამ, პალესტინა ხალხთა ინტერესის ცენტრში მოაქცია. ბიზანტიურ პერიოდში (324-636) ფართოდ იწყეს სამონასტრო ლავრებისა და ანქორების მშენებლობა, განვითარება და დახვეწა დაიწყო სამშენებლო არქიტექტონიკამაც.

(გაგრძელება იქნება)

|   |   |   |
|---|---|---|
| <p><b>დაგუშენებელი და გამომცემელი:</b></p> <p>გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე</p> <p>თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>, ვახტანგ VI ქ. №30</p> <p>ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57</p> | <p><b>რეგისტრირებულია</b></p> <p>ქ. თბილისის ათაჭამიძის რაიონის სასამართლოს მიერ.</p> <p>რეგისტრაციის № 4/1-921</p> | <p><b>რედაქტორი</b></p> <p>გურამ ბათიაშვილი</p> <p>ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557</p>  <p>9771987898003</p> |
|---|---|---|